

# ქართული



ქართული მოწვევა უნდა?  
ქართული ქართული რომელი?  
ღმერთია, ბეჭისურთა,  
ზღვა როთ, იძღუნა!

გარეანის ქართული სათვისტომოს მრგანი

2(15) 2008  
მარტი-აპრილი

# ნოაზისი:

საპირივებელო ღერძი

3

ერაშემის საყითხებში საქათველოს  
სახუმინიჭო მინისტრის მიმართა

4

ინტერესუალები მიღიარ საქათველოს

5-7

9 აქტები

8-15

ჩსხაც გემინიაში ვაკეთებ, სულ  
საქათველოში გამოფენის სუჟილით ვაკეთებ

15-19

ეს ბიჭი კაშად ღაუებავს

20-22

ბაბუის ნაუკაცებე

23-27

3 მაჩქა, ღელის ღყებ,  
გახდაცვადა ღება-ღემოფალი

28-29

ცაგვიანევი გამოთხოვება  
არა წარადაძესთან

30

## სავისებელი განაკვეთი

მინდობები, ქანითლის მინდობები,  
ქულები მხარეაძლილები...  
მთავი - ცყვი ღანაშინდები,  
ცყვი - ქორმები იმები...  
ჰარის პრინცესი ჭაღარი,  
მზე ყმლებიან ჩიცები...  
მხარე მოსილო ლილებით.  
„სხვა საქანითველო სად არი?“  
ჩოს განეკულავები სმაურით  
აინთებიან ცათანი,  
კლეი მოაწყება ზოგადო  
მექანილ ცაზე აფანილ...  
კლეიებში ჯიხვი დაფინანსება.  
ერთი იცილები აფამი.  
ყაყაჩოს ეჭილი კერ აუკლი.  
„სხვა საქანითველო სად არი?“

ანა გალანდაძე



დიასპორის საპირისძეო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი  
STATE MINISTER OF GEORGIA ON DIASPORA ISSUES

N 01/47

14.03.2008 წ.

ძეირფასო თანამემამულები,

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში მოგესალმებათ თქვენ, ქართული დიასპორის სათვისტომოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მათ ხელმძღვანელებს. გისურვებთ ბედნიერებასა და წარმატებებს.

თქვენ, ქართული დიასპორის ორგანიზაციებს, უმნიშვნელოვანესი წელილი მიგიძლვით საქართველოსა და ქართული დიასპორის ერთიანობის უზრუნველყოფის დიდ ეროვნულ საქმეში. ქართული დიასპორის ორგანიზაციები საზღვარგარეთ წარმოადგენენ იმ ხიდს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ყოველდღიური, ცოცხალი და განუწყვეტელი კავშირი საქართველოსა და დიასპორის კულტურულ შორის.

საქართველოს ხელისუფლება ქართულ დიასპორასთან ურთიერთობას ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევს. სწორედ ამიტომ შემოღებულ იქნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფოს მინისტრის თანამდებობა. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის საქმიანობის სფეროს დიასპორასა და საქართველოს ხელისუფლებას შორის მჭიდრო და ეფექტური ურთიერთქმედებისათვის ხელის შეწყობა წარმოადგენს.

ჩვენი საქმიანობის ეფაქტურობა და დასახული მიზნების მიღწევა შეუძლებელი გახდება თქვენი აქტიური მონაწილეობის გარეშე. ქართულ დიასპორას შეუძლია დიდი წელილი შეიტანოს საქართველოსა და დიასპორის ადგილსამყოფელ ქვეყნებს შორის ურთიერთობების განმტკიცებასა და საქართველოს ინტერესების დაცვაში საერთაშორისო არენაზე. ჩვენი სურვილია, რომ თქვენ სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღოთ ქართული სახელმწიფოს გაძლიერებაში და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

აქედან გამომდინარე, ვეღით თქეენგან წინადაღებებს, შემოთავაზებებს, პროექტებს, რადგან ყველაზე უკეთ თქვენ იცით რა სჭირდება ქართულ დიასპორას, რომელი საკითხების გადაწყვეტა არის მნიშვნელოვანი და აუცილებელი თქვენთვის.

ძეირფასო მეცნიერები,

ნება მომეცით, ეიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი პატივისცემა და მადლობა იმ დიდი საქმიანობისათვის, რასაც თქვენ წლების მანძილზე ეწევით უცხოეთში ქართველობის შესანარჩუნებლად. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ თქვენი პატრიოტიზმი, პროფესიონალიზმი და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება განაპირობებს იმ წარმატებებს, რომელთაც ერთობლივად უნდა მიეკავშიროთ საქართველოს საკეთილდღეოდ.

ღრმა პატივისცემით,

დიასპორის საკითხებში  
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

იულონ გაგოშიძე

## ინტელექტუალები მიღიან საქართველოს

იმ ადამიანთა რიცხვის გათვალისწინებით, რომლებმაც საქართველოს სხვადასხვა მიზეზების გამო დატოვეს და ცხოვრება საზღვარგარეთ არჩევს, ქვეყნაში გაჩნდა საჭიროება, ახალი სამინისტრო შექმნილიყო. პირველ სახელმწიფო მინისტრად დიასპორის საკითხებში იულონ გაგოშიძე დაინიშნა. „ქართველი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერესებს ბატონ იულონთან. აღმოჩნდა, რომ ეს მისთვის ზოგადად პირველი ინტერესიურ.

სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში ყველა იმ სიახლის შესახებ საუბრობს, რასაც მისი უწყება გეგმავს. პროექტების დასრულების შესახებ დასმულ კითხვაზე კი პასუხობს, რომ ეს უწყებელი პროცესია იქნადა გამომდინარე, რომ ქართველ დიასპორას საზღვარგარეთ შემცირების პირი არ უჩანს. რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის დიასპორა, რა წვლილი შეაქვს მას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში და რატომ გაიდა საჭირო ასეთი სამინისტროს შექმნა, ამას ინტერესიუდან შეიტყობთ.

-ბატონი იულონ, რამ განაპირობა, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტის შექმნის აუცილებლობა?

- ჩვენს პრეზიდენტს არაერთხელ განუცხადებია, რომ დიასპორა არის ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი. ამიტომ, პრეზიდენტისა და პრეზიდენტისა გადაწყვეტილებით, შეიქმნა ეს პოსტი. დამამტკიცეს 31 იანვარს. კონცურსის გავლის შემდეგ. მოსახლეობის ძალიან დიდი პროცენტი ქვეყნიდანაა გასული და ის ხალხი დიდმა გაჭირვებამ წაიყვანა აქედან. ჩვენი ემიგრანტები სისხლ-ხორციელულად არიან დაინტერესებულები, რომ რაც შეიძლება მაღლ ამოქმედდეს პროგრამა, რომელიც ახლახანს იქნა ინიცირებული, სილარიბის დაძლევის შესახებ. უფრო მეტიც, ისინი მონაწილეობას იღებენ ამ პროგრამის განხორციელებაში.

უცხოეთში წასულები აქ არჩენენ ოჯახებს, ფულს უგზავნიან. მარტო ოფიციალურ მონაცემებით, ანუ ბანკების საშუალებით, 800 მილიონია შემოსული საქართველოში და რაც ისე გადმოტანილი, ხელით, ეს ხომ არსად არაა აღრიცხული, ანუ, სინამდვილეში უფრო მეტი უნდა ვივარაუდოთ თანხა, რასაც ჩვენი ქვეყნა დიასპორის საშუალებით იღებს. ასე რომ დიასპორას უდიდესი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში. წარმოუდგენელია ეს არ დაინახო და არ ჩათვალო საჭიროდ ამ კატეგორიისადმი განსაკუთრებული ყურადღება. მით უმეტეს, რომ



მსოფლიოში არსებობს ქვეყნები, რომლებსაც დიასპორასთან ურთიერთობის ძალიან კარგი გამოცდილება აქვთ. ზოგი მათგანი, მაგალითად, ისრაელი საერთოდ დიასპორის ხარჯზე ცხოვრობს.

- **საგარეო საქმეთა სამინისტროშიც იყო სამსახური, რომელიც დაახლოებით, თქვენი სამინისტროს ფუნქციებს ასრულებდა. თქვენი ფუნქციები განსხვავდება ხელის უწყებისგან?**

- საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო დეპარტამენტი თუ განყოფილება, რომელიც დიასპორასთან ურთიერთობას კურირებდა. ასევე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროშიც არსებობდა, მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიული პირი და ამ კუთხით მუშაობდა. ბევრი საქმეც აქვთ გაკეთებული ერთსაც და მეორესაც. სხვათა შორის, სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტროდან გამიშვეს მეც

ექსპედიციაში საზღვარგარეთ.

- **ფუნქციები ანალოგიური ჰქონდა?**

- ზუსტად ანალოგიური, რაც მე უნდა გავაკეთო, ზუსტად იგივე, საქმეს აკეთებდნენ ისინი, მაგრამ ის, რომ ახლა შეიქმნა ცალკე მინისტრის პოსტი და აპარატი, ამას სხვა დატვირთვა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. აქმდე ეს იყო სხვა სამინისტროს ერთ-ერთი ფუნქცია. სამინისტროს შექმნა კი ნიშნავს, რომ სახელმწიფო თვლის: ეს არის ძალიან დიდი პრობლემა და განსაკუთრებული ყურადღების დაომობაა საჭირო დიასპორისთვის.

- **თქვენი ფუნქციები რა იქნება კონკრეტულად?**

- მე უკვე ვთქვი, რომ დიასპორა არის საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ინვესტორი. ძალიან დიდი თანხა შემოდის იქიდან. ამიტომ საჭიროა ინტენსური ურთიერთობა მათთან. დიასპორა განუყოფელია ქვეყნისგან და ქვეყანა განუყოფელია დიასპორისგან. იმ ადამიანების მხრიდან, რომლებიც წასულები არიან საზღვარგარეთ, ჩვენს მიმართ იგრძნობა უდიდესი ყურადღება. ჩვენი მხრიდან მათ მიმართ კი არავითარი მსგავსი რამ არ იყო აქმდე. არადა, ქართველი ადამიანი, რომელიც წასულია, არ წყვეტს კავშირს სამშობლოსთან, დიასპორა და ქვეყანა განუყოფელია. საზღვარგარეთ წასული ადამიანები ცდილობენ არ დაკარგონ ენა, კულტურა, მაგრამ ბავშვები, რომლებიც იქ

- იბადებიან, უკვე აღარ სწავლობენ ენას, მოგეხსენებათ იქ სხვა გარემოა...
- **როგორ წარმოგიდგენიათ მათთვის დახმარების გაწევა?**
  - **საზღვარგარეთ, ბევრგან შექმნილია საკვირაო სკოლები, ჩვენ მათ მოვაძიარებთ წიგნებით, მეთოდური სახელმძღვანელოებით... გვინდა მომავალში ჩამოვიყვანოთ პატრიოტთა ბანაკები მოზარდები, დაგასვენოთ, ასეთი შემთხვევები ყოფილა. ამისთვის, მოგეხსენებათ, საჭიროა თანხები. მაგრამ საქმე ის არის, რომ დიასპორა არ არის ერთგვაროვანი. ზოგი, წარმატებულია, მდიდრებიც არიანი, გაფირვებულებიც, უმეტესობა, რა თქმა უნდა, სამუალო ფენას ეკუთვნის. მათ თვითონვე შეუძლიათ დაეხმარონ ერთმანეთს და ეხმარებიან კიდეც. თუმცა გვინდა ამას უფრო ორგანიზებული სახე მივცეთ, ჩვენც ჩავერთოთ ამ პროცესში, როგორც ორგანიზატორები.**
  - **სად, რა მომენტში უნდა ჩაერთოს თქვენი სამინისტრო ამ პროცესში?**
  - **ჩვენ ყველაფერში ვიქენებით ჩართული, ყველაფერში მივიღებთ მონანილებას. აი, მაგალითად, გერმანიაში გამოდის ჟურნალი და მათ კავშირი აქვთ ამერიკასთან. რატომ? იმიტომ რომ ასეთი კავშირები საჭიროა. თვითონ მათვე სჭირდებათ ერთმანეთთან დაკავშირება. ჩვენ კი ვიქენებით ცენტრი. ჩვენი მეშვეობითაც სხვადასხვა ქვეყნის სათვისტომოები ერთმანეთს დაუკავშირდებიან. ახლა ანყობის პროცესშია ჩვენი მრავალფუნქციური საინფორმაციო-ანალიტიკური ვებ-პორტალი, რომლის გამოყენება ყველა სახელმწიფო სტრუქტურას შეეძლება და ასევე, საზოგადოებისთვისაც იქნება ხელმისაწვდომი. რაც მთავარია, სახელმწიფოების, ქალაქების, სათვისტომოების და მრევლების დონეზეც კი ექნებათ საშუალება მასში მონაცემები შეიტანონ, შეავსონ თვითონ ემიგრანტებმა. ახლა ძალიან მნიშვნელოვნი საუბრები მიღის ფოთის პორტთან დაკავშირებით, სადაც თავისუფალი ეკონომუკური ზონის შექმნა იგეგმება. ამით ბევრი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველია დაინტერესებული. კონკრეტული დეტალების გახმაურება არ უყართ ხოლმე და ამ კუთხით ბევრს ვერაფერს გეტყვით, თუმცა ის კი შეიძლება ითქვას, რომ ქართველები შემოდიან. მით უმეტეს, რომ ეს პროგრამა ძალიან მოეწონათ და ამაში ჩართვა უნდათ. ჩვენს პორტალში, სერვერზე დაიდება ყველა სახის მსგავსი ინფორმაცია, რომელიც საზღვარგარეთ მცხოვრებ ადამიანს დააინტერესდება.**
  - **თქვენ თუ გიცხოვრიათ საზღვარგარეთ?**
  - **მე? ერთ თვეზე მეტ ხანს არასდროს ვყოფილვარ საზღვარგარეთ. როდესაც ვფიქრობ იმ ხალხზე, ვინც წავიდა და იქ ცხოვრობს, სულ მიკვირს. შევძლებდი კი მე გამერისკა და წაგსულიყავი? ალბათ არა. ძალიან დიდ პატივს ვცემ იმ ადამიანებს, ვინც გარისკა და წავიდა. აი, მაგალითად საბერძნეთში ხომ უმეტესად ქალები არიან წასულები. როგორი ტანჯურ-წამება გაიარეს არალეგალურად რომ**

გადავიდნენ, სიცოცხლის რისკის ქვეშ და ფულიც ბევრი უჯდებათ, ძალიან ბევრი.

- **რამდენად კარგად იცნობთ იქ მცხოვრებ ქართველთა პრობლემებს?**
- **ძალიან კარგად. მე ურთიერთობა მქონდა ერთ, კვიპროსის დიასპორასთან. სამი ექსპედიცია ჩავიყვანე, ეკლესიის გათხრებზე ვმუშაობდით. იქ გავიცანი ძალიან ბევრი ქართველი, რომლებიც მოდიოდნენ ჩვენთან და სრულიად უანგაროდ გვეხმარებოდნენ არქეოლოგიურ სამუშაოებზე.**
- **რა პრობლემები აქვთ საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს?**
- **ძირითადად ესაა არალეგალურად ცხოვრებასთან დაკავშირებული პრობლემები. ძალიან ბევრი ხომ ასე ცხოვრობს. მათ ძალიან უჭირთ.**
- **თქვენ შეძლებთ რამენაირად მათ დახმარებას?**
- **ესაა ყველაზე რთული პრობლემა. ამის ერთადერთი გზა არსებობს: თუ დაინტყო სახელმწიფოებს შორის შრომითი ხელშეკრულებების შესახებ ოფიციალური დოკუმენტის გაფორმება. შეიძლება დაიმგას რაღაც კვოტა, ვთქვათ ადამიანთა გარკვეულ რაოდენობაზე, რომლებსაც შეეძლებათ საზღვარგარეთ წასვლა და წამოსვლა.**
- **ჩვენს რეალობაში ეს შესაძლებელია?**
- **ჯერ-ჯერობით რეალობა ამაში ნაკლებად ჩანს, მაგრამ ასეთი გამოცდილება სხვადასხვა ქვეყნაში არსებობს. პრინციპის, ამაზე მუშაობა მიმდინარეობს ახლაც საგარეო საქმეთა სამინისტროში, როდის მოგაცემს შედეგს, მნელი სათქმელია. აი, როდესაც გაძლიერდება ჩვენი დიასპორა ამის მეტი საშუალება იქნება.**
- **თუ არის აღრიცხული სადმე რამდენი ქართველთა სათვისტომო, რამდენი პერიოდული გამოცემა არსებობს საზღვარგარეთ, ან რამდენი ადამიანია წასული?**
- **არა, არა, არა, ეს არავინ არ იცის... ამის აღრიცხვიანობა არ არსებობს. ამიტომ ჩვენ ვმუშაობთ ახლა საინფორმაციო ბანკის შექმნაზე. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსაც ჰქონდა ამ მხრივ რაღაც სამუშაო განვეული. მათ მონაცემებსაც გამოვიყენებთ. კიდევ ბევრი კერძო პირი გვივავშირდება, გვაწვდიან მონაცემებს. გარდა ამისა, როგორც გითხარით, ახლა ვმუშაობთ სერვერის შექმნაზე, სადაც თავს მოიყრის ყველა სახის ინფორმაცია სათვისტომოების, საზღვარგარეთ წასული ადამიანების შესახებ. თქვენ იცით, რომდენმა ადამიანმა მიიღო მონაცილეობა წელს საპრეზიდენტო არჩევნებში საზღვარგარეთიდან? 10733! ეს ერთი პროცენტიც კი არ არის იმ რაოდენობისა, რაც უცხოეთში ცხოვრობს. 100 ათასობით ადამიანია წასული, ზოგი დათვლით კი მიღიონც! ანუ ფაქტიურად, საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულებს ხმის მიცემის უფლება, წართმეული აქვთ. რატომ? ჩვენ გვინდა ეს ხალხი ჩავრთოთ ყველა პროცესში, რაც საქართველოსთან იქნება დაგავშირებული. სერვერი ისეთი სისტემით გაკეთდება, რომ სათვისტომოებს, მრევლს თვითონ შეეძლება შეავსოს იგი, შეიტანონ,**

# ქართული

- დამატონ საკუთარი მონაცემები, გამოაქვეყნონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. აქ დაიდება ყველა ჩვენი ლონისძიების შესახებ განცხადებები და ასე შემდეგ. კონკრეტულად დროს ვერ გეტყვით, შეიძლება 6 თვეში, ან ერთ წელში მიიღოს ამ იდეაში მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული ფორმა.
- თქვენს სამინისტროს, საქართველოში არსებულთაგან ყველაზე მცირე ბიუჯეტი აქვს. რაიმე სახის პროგრამების დაფინანსებას თუ გეგმავთ?
  - ჩვენი თანხა პროგრამების დაფინანსებას ვერ გაწვდება. ბიუჯეტი 625000 ლარს შეადგინს. შემდეგ კი ფინანსთა სამინისტრომ გამოგვიყო დამატებით 100000 ლარი რემონტისთვის. ჯერ-ჯერობით, სამ თოახში ვართ განთავსებული ლტოლებილთა და განსახლების სამინისტროში. საბედნიეროდ არსებობს საერთაშორისო ფონდები, რომლებმაც შეიძლება ასეთი მისია იტვირთონ: დააფინანსონ სხვადასხვა პროექტები, რომლის განხორციელებაც საჭირო იქნება. სერვერის გაკეთებასაც, რომელიც ძალიან ძვირი სიამოვნებაა, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით ვახერხებთ. იარსებებს კიდევ დიასპორის ფონდი, რომლის საშუალებითაც

დიასპორა დაეხმარება სხვა დიასპორას. ამის ძალიან კარგი გამოცდილება აქვთ სხვა ქვეყნებს, ისრაელს, სომხეთს, დიდ ბრიტანეთს, შვედეთს. როცა სახელმწიფოც ერთვება ამ საქმეში, საერთაშორისო ფონდები უფრო აქტიურდებიან, მეტად გამოიქვემდინ მზაობას ამ პროცესში ჩართულობაზე.

- თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად იქნებ გვითხრათ სათვისტომოს ფონდის შესახებ, ვინ უნდა დააფინანსოს იგი?
- ქველმოქმედების სარჯები ცხოვრობს ყველა სათვისტომო. ესეც ასე იქნება. საზღვარგარეთ ნასული ადამიანები, ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა ექნება, გადარიცხავენ თანხებს ამ ფონდში. რა რაოდენობის თანხა შევა, ამის შესახებ ინფორმაცია სერვერზე განთავსდება და სრულიად ღია იქნება, ხელმისაწვდომი ყველასთვის. ამ ფონდს ზოგადად, ორი მიმართულება ექნება: პირველი, სათვისტომო ეხმარება სათვისტომოს, ანუ თანხას მიმართავს გარკვეული მიზნისკენ. კენჭისყრით გადაწყვეტინ, რაც მნიშვნელოვანი იქნება და ამის მიხედვით დააფინანსებენ. და მეორე მიმართულება: ჩართვა ჩვენს სილარიბის დაძლევის პროგრამაში. მაგალითად

რომელიდაც მეწარმეს სურს შეღავათიანი, ან უპროცენტო სესხი აიღოს, ან სანარმოს ნაწილი შემოიტანოს საქართველოში. ამ ფონდს შეეძლება ასეთი დახმარების გაწევა. ჩვენი აზრით, კარგი იქნება წარჩინებული, ნიჭიერი სტუდენტების დასაფინანსებლად სახსრების გამოყოფაც. მოგეხსენებათ საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი, არა მარტო ფიზიკურად, არამედ გონიერივადაც მიდის უცხოეთში და უკან აღარ ბრუნდება, რადგან ასეთები ყველგან სჭირდებათ. ნიჭიერი ადამიანების დეფიციტი ყველგანაა მთელს მსოფლიოში. ინტელექტუალუბი მიდიან საქართველოდან და უკან დაბრუნებაზე აღარ ფიქრობენ. ფონდიდან დაფინანსების მიღებას სტუდენტები უკან დაბრუნებას პირობის დადების შემთხვევაში მიიღებენ და ისწავლიან ევროპისა და ამერიკის საუკეთესო უნივერსიტეტებში. მოვაწყობთ ასევე ბიზნეს-ფორუმებს. ახლა, მაისში იქნება პირველი ფორუმი.

- ვის ეკუთვნის იდეა ასეთი ფონდის შესახებ?
- სხვათა შორის, ფონდის შექმნის იდეა თვითონ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისგან წამოვიდა და ბიზნეს ფორუმის საკითხიც იქიდან მოდის. პირველად ამერიკიდან დარეკეს.

გთავაზობთ გერმანიის ნებისმიერ სახელმწიფო  
სტუქტურაში აღიარებულ  
დამოწმებულ თარგმანებს საგალდებულო “ISO-Norm”-ის დაცვით ხანძლივე ვადაში და შეღავთიან ფასებში.

მაკა ბაუერი, დიპლ.-გერმანისტი,  
სამგზის ნაფიცი მთარგმნელ-თარჯიმანი გერმანიაში  
მთავარი ბიურო: Industriestr. 23, 97437 Hassfurt

ტელ.: 09521/958459; მობ.: 0160/92223212;

Fax: 09521/1258

[www.dolmetscher-georgisch.de](http://www.dolmetscher-georgisch.de)

maka.bauer@gmx.de

ბიურო მიუნხენში: Thierschstr. 28, 80538 München  
089/3234202; 0179/2559199

როდესაც მოსკოვში ვიყავით, პირველივე შეხვედრაზე იქაც ამის მოთხოვნა გაჩინდა: რამე გავაკეთოთ, რამე გავაკეთოთ — ამბობდნენ.

- ბატონო იულონ, როგორ ფიქრობთ, როდის განხორციელება ეს იდეა?
- დრო ძალიან ცოტაა. დაწყებაა ძნელი, თორებ მერე წავა და წავა. კონკრეტული დროს თქმა ძნელია, რადგან დიასპორასთან ურთიერთობა, ფაქტიურად, უწყვეტი პროცესია იქიდან გამომდინარე, რომ დიასპორას შემცირების პირი არ უჩანს.

**ნინო დალაქიშვილი**

ჭა

# 9 სამართლებრივი გარემო

- ნიბიძის უნიკატი თერმინი გერი... ნეფრა, რეფრა, რისო? ცხოვლები რა მდგრადი მოწოდები... ნეფრა, რეფრა, რისო?
- რეფრა, რეფრა, თერმინი გერი უფრო მეტანისო.
- თერმინის მოწოდება... რა მდგრადია... ნეფრა, რეფრა, რისო?
- თერმინი გერი მდგრადია? უაა. შენს რეფრანი!
- შენს. ციმორისი მომიურები... უაა. შენს რეფრანი!
- კიოთმ სამი თერმინი ყას ცხოვლების დაწინაა.
- შენს მისჯონის მდინარეები... ნეფრა, რეფრა, რისო?
- თერმინი ყას ნეფრა მისჯონის? უაა. შენს რეფრანი!
- შეიღოთ. შევისოს ცისხოველები... უაა. შენს რეფრანი!
- მის სამი სამორის... ნეფრა, რეფრა, რისო?
- შეიღოთ. მამაშინი სრი... უაა. შენს რეფრანი!
- ავტო მშესწორი მიობ ყმუსის. ნეფრა, რეფრა, რისო?
- ეს არავითის როგორების. უაა. მთ რეფრანი!
- კიოთმ. ყასვირები ნებრის... ნეფრა, რეფრა, რისო?
- ცარალის სფრინვები... უაა. შენს რეფრანი!..

შოთა ბიშვილიძე

ყველაფერი შორიდან დაიწყო...

წლების მანძილზე საქართველო უპატირონო ეკლესიას პგავდა, პყიდნენ მიწებს ქართველები და იტაცებდნენ უცხონი, შემდეგ ის უცხონი მასპინძლებად გაგვიხვდნენ და ჩენ სტუმრებად გაქეცით. ყველამ რაღაც მოგვთხოვა, ყველამ რაღაც წაგვართვა.

შემდეგ გამოცხადდა საყოველთაო და უსამართლო ომი ერის „წინააღმდეგ, „სტალინის მშობელი ერის“ „წინააღმდეგ, მიგვცეს სისხლის სამართალში, არც აქ გამოვგიჩნდა პატრონი. დაგვცინდა დიდი და პატარა, ისეთი აზრი მრჩებოდა, რომ ეს ერთი ლუკმა ქვეყანა ვიღაცას გულზე დაეცა და ვეღარ მოინქლა. არ გვაძლევდნენ პასუხის გაცემის უფლებას. გადი-გამოდიოდნენ მწერლები და უნიჭო უურნალისტები, უბრალონი და ბრალიანნი, ნაციონალიზმს სწამებდნენ ერს, რომლის მიწაზეც საუკუნეების მანძილზე, მე ვიტყოდი, ქართველებზე ბედნიერი ცხოვრებით ცხოვრობდნენ მშობლიურ ძუძუს მოწყვეტილი ერის შვილები თუ სხვადასხვა ტომები.

ინგრეოდნენ ძველები, გვარომევდნენ ენას, ამბიციებით შეპყრობილი ხელმძღვანელები „ვაიმშენებლებს“ უკვეთავდნენ არარეალურ, გრანდიოზულ შენებლობებს, რაც სასიკვდილოდ ემუქრებოდა უძველესი ისტორიის მქონე მიწა-წყალს. იმძლავრეს მოძალადებმა, ხალხმა ვერ იგრძნო დროული შედეგი



ჩვენი გონიერებისა. ამდენად, მოხდა გათიშვა ხალხსა და ხელისუფლებას შორის, ამას ისიც დაემატა, რომ გულწრფელად აღიარეს რევოლუციიდან მოყოლებული დღემდე, რომ პრობლემები არსებობდა ერთაშორის ურთიერთობებში. ხალხი შეშალა და გადარია, უფრო სწორედ დაამონა „უფროსი“ და „უმცროსი“ მმის ცნებამ. ქართველი კაცის ერთგულება და პატივისცემა სხვათა ერისადმი და სარწმუნოებისადმი დასაბამიდან ცნობილია, მით უმეტეს – ქრისტიანული რუსეთისადმი, მაგრამ, რა გინდა, აღმოჩნდნენ შოგინისტები, რომლებმაც ნგრევის პოლიტიკა ამჯობინეს კეთილშობილებას...

ასე, ნელ-ნელა აივსო ქართველთა (და არა მარტო ქართველთა) მოთმინების ფიალა, რომლის ბოლო წვეთი ოყო აფხაზთა შეურაცხმეოფელი წერილი, რომელიც აგერ უკვე რვა თვეა მოსკოვმა იცის და პასუხის გამცემი კაცი არ აღმოჩნდა. დიახ, აივსო მოთმინების ფიალა და გადმოდიოდა...

მაინც რა მოხდა ცხრაში?

ცოდვილი მოდგმის ველურებს თუ შეუძლიათ სა-

კუთარ თვალებს შეაფურთხონ ისე და იმრიგად, როგორც აპრილის იმ საბედისწერო დღეს „საპიორთა“ ხელნიჩბიანებმა იკადრუს.

ვერც ღმერთი და ვერც კაცი ვერ დამაჯერებს, რომ იმ ურწმუნოებს ვინმე ჰყავთ სახლში, ან დედა, ან მამა, ან დედმამიშვილი, ან ნათესავი, განა შეიძლება უთვისტომო კაცის ასე ბოროტად გაზრდა? მოხდა ენით აუწერელი საშინელება, გამოუსწორებელი ტრაგედია...

მოვიდნენ, დაგვტუქსეს სამშობლოს „სიძულვილის“ გამო, საქართველოს „სიძულვილის“ გამო, (ისევ ცინიზმი) ნახევრად მძინარე მოშიმშილებს ალესილი ნიჩბებით დაერივნენ. ჰო, ნუ შეგვეშინდება ამ მკაცრი სიტყვების თუ შეფასებისა, სიკვდილამდე სდევდნენ სრულიად უდანაშაულოებს, თავისუფლებისათვის და „პერესტროიკისათვის“ მებრძოლ ახალგაზრდობას, მოზარდებს, დიდებს, უფრორე ქალებს (შემდგომ ცნობას გამოაქვეყნებენ – ისევ ცინიკურს, რომ ქალებს განსაკუთრებული სიფრთხილით ექცეოდნენ), მათ შორის – ფქმბმიმესაც. თითქოს წითელი ერის ნაჭრს აფრიალებდნენ ცხვირწინ, ვერაფრით აკავებდნენ, კეპავდნენ და თან დასძახოდნენ: „ესეც თქვენ სტალინის გამოო“ (განა ვინმე, ან რომელიმე მათგანი იყო ინფორმირებული, რა დაემართა თავის დროზე და შემდგომ ჩვენს პატარა საქართველოს სტალინის გამო? – ესეც ხომ ცინიზმია?!). მაშ, არ იყვნენ დარიგებულნი? მაშ ასე ჰაიპარად ისროდნენ ერთნაირ სიტყვებს? არა, ბატონო, კველაფერი კარგად და ზუსტად იცოდნენ და თუ არ იცოდნენ, კიდევ

უარესი მათოვის, მაშინ საიდან ამხელა სიძულვილი?

...ჯარისკაცები ახალგაზრდებს ქუჩაში აჩერებდნენ და შევ ბაბუებს აცლიდნენ გამაღიზიანებლად... ერთმა ახალგაზრდამ, მარჯანიშვილზე ჩემს თვალწინოფიცერს უთხრა: „სიცილის უფლებას არ გვაძლევთ, ტირილის ნება მაინც მოგვეციოთ“. ესაა საქმე? სადა გართ, რომელ ქვეყანაში? ვინ ურევს ხელს ისედაც გამძაფრებულ ურთიერთობებში?

...დღეს ტელევიზიით აცხადებენ, ჯარს იარაღი არ ჰქონდა და ცუდს რას იზამდაო, ხოლო ჯარის ნაწილები, კვლავაც დგანან ქუჩებში ალესილი „საპიორული“ ნიჩბებით. შეუთანხმებლობამ, აგრეთვე, მეტისმეტმა გულახდილმა სიმშვიდემ თუ გაშიშვლებულმა გულახდილობამ დაგვიკარგა მოყვარე და მტერში აგვრია...

...მუხლს ვიყრი უდანაშაულოდ დალუპულთა წინაშე, რომელთა სულის მშვენიერება აკეთილშობილებს საქართველოს ხეალინდელ დღეს. ჯვარცმული ერი გართ, „ჯვარს აცვამენ მას და იყოფენ მის სამოსელს, წილის ყრით, - ვინ რა აიღოს!“

დღეს ასეა ჩვენი საქმე, ჭკუით ვერ უნდა გვაჯობონ, იქნებ, თავად უნდა მოვუხმოთ ჭკუას? და რაც მთავარია, ძალიან მთავარია: ერთმანეთთან „იყავით გულმოწყალენი ისევე, როგორც თქვენი მამაა გულმოწყალე“...

ჯანსუდ ჩარგვიანი  
„თბილისი“ 11.IV № 84

## ისცორია იცყვის მართალი

9 აპრილის ტრაგედიას ათასობით მონაწილე და მოწმე ჰყავდა. ტრაგედიის შესახებ მერვე კლინიკური საავადმყოფოს ყელ-ყურის განყოფილების გამზე ღულუნი ანდრიაძე საუბრობს:

- ნუ მკითხავთ, ნურათერს მკითხავთ. ის, რაც ჩემმა თვალებმა ნახეს, დაუჯერებელია, გაუგონარია... იმ დღეს მოშიმშილებათან ვმორიგეობდი. სამედიცინო პუნქტი მხატვრის სახლში იყო მოწყობილი. დაახლოებით დამის ოთხ საათზე ტანკები წამოვიდნენ. დემონსტრანტებმა გზა დაუთმეს და გაატარეს. რუსთაველის პროსპექტის საგალი ნაწილი თავისუფალი იყო. მუხლებზე დაჩოქილი მომიტინგები მღეროდნენ. უცებ საიდანღაც გაჩნდნენ ხელკეტებით, ნიჩბებით და ფარებით შეიარაღებული ჯარისკაცები. მომიტინგები ალყაში მოაქციეს და დაიწყო რაღაც წარმოუდგენელი რამ: ჯარისკაცები დაერივნენ

მოშიმშილებს და დემონსტრანტებს.

პირველმა ელდამ ცოტათი რომ გამიარა, ვცადე სანიტრებთან და სხვა ექიმებთან ერთად მოხმარებოდი დაშავებულებს. ჯარისკაცებმა არ მიგვიშვეს. მაშინ ვცადეთ ძალით შევსულიყავით ბრძოლის ველზე. პასუხად ხელკეტების დაუნდობელი დარტყმები მივიღეთ. დავრბოლით, ვევედრებულით... სამხედროებს არაფერი ესმოდათ. გულგრილად, პედანტური სიზუსტით ასრულებდნენ თვითით საქმეს.

მე ვერასოდეს ვაპატიებ საკუთარ თავს, რომ ვერ შევძელი იმ გოგონას გადარჩენა, რომელიც ჭალარათმიანი ქალის გვამს ზედ დააკლა „ცივილიზებულმა“ ბარბაროსმა, ხელი ვერ შევუშალე ჯარისკაცებს, რომელებიც წიხლებით სცემდნენ უძწეო ადამიანებს. ბევრი რამ მინახავს – სისხლიც, ჭრილობაც, სიკვდილიც, მაგრამ იმ დღის შემდეგ არ შემიძლია

მოვისვენო, დავიძინო...

პო, თუ რამეს და რამეს დაწერთ, ძალიან გთხოვთ თქვით მიღიციელებშე. იმათი ვაჟაცობა რომ არა (ისინიც ჩვენსავით უიარაღონი იყვნენ), გაცილებით მეტი ადამიანი დაიღუპებოდა. სწორედ ისინი, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად გვემარებოდნენ დაშავებულთა გამოყენაში, იცავდნენ კინოთეატრ „რუსთაველში“ თავშეფარებულ შიშისაგან გაოგნებულ ხალხს და პოსპიტალში მოთავსებულ დასახიჩრებულებსაც.

ყველაზე მეტად მაწამებს საკუთარი უმწეობის შეგრძენება, რომ წინ ვერაფრით აღუდგები, ვერ შეაჩერებ გახელებულ და შეიარაღებულ მასას. ალბათ, ეს გრძნობა სტანჯავდა ჩვენს მეგობარ ექიმს, ვაჟა დობორჯვინიძეს, როცა ქუჩაში პირქედამზობილი ხმამაღლა ტიროდა...

კლინიკური და ექსპერიმენტული ხევროლოგიის ინსტიტუტის მთავრი ექიმის მოადგილე ბესიკ შურლაია:

- სამწუხაროდ მე იმ დღეს არ მევალებოდა მთავრობის სახლთან მორიგეობა, მაგრამ შარშანდელი ნოემბრის დღების გამოცდილებით, ახლაც თითქმის ყოველდამ მივდიოდი.

ყველაფერი დაახლოებით ნახევარ საათში დამთავრდა. დროის ეს მცირე მონაკვეთი, ალბათ, დიდხანს ექნება სალაპარაკო მთელს ქვეყანას. მინდა ხაზი გაუსვა და ესეც დაწერეთ: ეს იყო მკვლელობა, უდანაშაულო და უიარაღო ადამიანების მკვლელობა.

... როგორც კი წაქცეულის წამ-

ოყენება ვცადე, მაშინვე მივიღე უძლიერესი დარტყმა მუცელში. ძალაუნებურად დავიკუზე და ამან გადამარჩინა – გამოსროლილი აეროზოლი ამცდა. თუმცა, მთლად უკალოდ მაინც ჩაუვლია. თვალები ამიცრემლდა, გონება დამიბინებულდა და პირში რაღაც გემო ვიგრძენი, თითქოს წებოვანი, აი, ისეთი, უმწიფარ ლეღვს რომ აქვს.

ჯარისკაცები პირბასრი ნიჩბებით და ხელკეტებით სცემდნენ ყველას, ვინც ვერ გაასწრო. თანაც ცდილობდნენ ალყაში არავის შესულიყო და იქიდან არავის გამოსულიყო... მისდევდნენ გაქცეულებს... არა, არ შემიძლია ამის აღწერა. დრო მოვა და ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა.

ექიმი გარ და პოლიტიკაში ჩემი ჩარევა არ მიმაჩნია მიზანშეწონილად, ამიტომ არ გამოვთქვამ არავითარ ოფიციალურ პროტესტს იმათ წინააღმდეგ, ვინც ეს ვანდალიზმი მოაწეო. არაოფიციალურად კი... როგორც გითხარით, მე თავს დამნაშავედ ვგრძნობ იმათ წინაშე, ვისაც მედიცინის მუშავებმა, მათ შორის მეც, ვერ ვუშველეთ. არა აქვს მნიშვნელობა, ობიექტურად გვქონდა თუ არა ამის საშალება. ამიტომ ყელში ლუკა არ გადამსვლია, ვიღრე ვიღაცების პოლიტიკურ ზრახვებს შეწირული ჩემი თანამემამულებების ცხედრები მიწას არ მიაბარეს. სავადმყოფოდანაც არსად გავსულვარ, სახლში ვერ მივდიოდი...

ექიმმა ბესიკ შურლაიამ მეტი ვერაფერი თქვა: იგი ტიროდა.

„თბილისი“ 27. IV # 98



აზა ადამია



ნათია ბაშალეეშვილი



ეკა ბეჟანიშვილი

ტრაგიკული ამშების მსხვერპლთა ჯაკომალვი

15 აპრილს ათასობით თბილისელმა გაიცილა უკანასკნელ გზაზე 9 აპრილს მთავრობის საბლთან მოედანზე მომხდარი ტრაგიკული ამშების ღროს ზოგიერთი ჯალუპული. უკარმალვის ცერემონიები გაიმართა ვაკის, საბურთალოს, კუკის, მუხათგვერდის, უიზმის, თბილისის ზღვისა და აგლაბრის სასაფლაოზე.

უკარმალვის ღროს მოე, ყო სამგლოვიარო მიტინგები.

“კომუნისტი”. 16. IV. | 89

# ქართველი



ნატო გიორგაძე



თამარ დოლიძე



თინა ენუქიძე



ნინო თოიძე

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამონისტროს მონაცემებით 9 აპრილის მიტინგის დაშლის დროს აღიიღულ დაიღუპნენ:**

**აღამია აზა რაჟდენის ასული – 22 წლის, გეგეჭკორის რაიონის მკვიდრი**

**ბეჟანიშვილი ეკა თამაზის ასული – 16 წლის, კომაროვის სკოლის X კლასის მოსწავლე**

**გიორგაძე ნატო ალექსის ასული – 23 წლის, ჩოხატაურის რაიონი დოლიძე თამუნა გრიგოლის ასული – 28 წლის**

**ენუქიძე თინა სევერიანის ასული – 70 წლის**

**თოიძე ნინო შუქრის ასული – 25 წლის, ჩაის სუბტროპიკულ ტურათა საკაფშირო სამქეციერო-საწარმოო გაერთიანების თანამშრომელი, მახარაძის რაიონი**

**კიკვიძე ზაირა აბელის ასული – 61 წლის, კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომელი**

**ლოლაძა მანანა ლევანის ასული – 33 წლის**

**მამულაშვილი თამარ ოვანეს ასული – 50 წლის**

**ნოზაძე მამუკა გოვის ძე – 22 წლის, ლაგოდეხის რაიონი**

**სამარგულიანი ნანა ალექსანდრეს ასული – 41 წლის**

**ჭურია-სამარგულიანი მარინა ტრისტანის ასული – 31 წლის**

**ჭიათურაშვილი ელისო გიორგის ასული – 25 წლის, რესპუბლიკური საავადმყოფოს სანიტარი**

**ჭოველიძე თამარი არკადის ასული – 16 წლის, 51-ე სკოლის მოსწავლე**

**ჯანგირაშვილი ნოდარ შოთას ძე – 40 წლის. სპორტკლუბ “სინათლის” მეთოდისტი**

**ჯინჭურაძე მზია მიხეილის ასული – 43 წლის, ფსიქიატრიის ინსტიტუტის ექიმი**

**მიღებული ტრაგმის შედეგად საავადმყოფოში 11 აპრილს გარდაიცვალნენ:**

**1. მელქაძე მანანა ამირანის ასული – 23 წლის, დიდი დიდომი**



ზაირა კიკვიძე



მანანა ლოლაძე



თამარ მამულაშვილი-სვანიძე



მანანა მელქაძე

# ქართული



მამუკა ნოზაძე



გია ქარსელაძე



ნანა სამადაშვილიანი



შალვა ქვასროლიაშვილი

2. ქარსელაძე გია გიორგის ძე  
– 25 წლის, თბილისის სატყეო  
მეურნეობის თანამშრომელი  
“თბილისი” 11. IV № 84


**ბრიფინგები საქართველოს  
კომპარტიის ცენტრალურ  
კომიტეტში**

12 და 13 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა მორიგი ბრიფინგები, რომლებზეც ჟურნალისტებს, საზოგადოებრის წარმომაზგენერაცია მიღოვანეს ინფორმაცია აზილისა, მთლიანად რესპუბლიკური ვიზარების და იმ ურისმიერების შესახებ, რომლებიც ხორციელება მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის.(...)

(...) პასუბი გაეცა ცენტრალური და რესპუბლიკური მისამართი ინფორმაციის საშუალებების წარმომაზგენერაცია მრავალრიცხვოვან კითხვებს. კერძოდ, ერთხელ კიდევ ბაზგასმით აღინიშნა, რაოდენ უსაფუძვლო მტკიცება მსხვერპლის რაოდენობის შესახებ არას-ჭორი მონაცემების თაობაზე. ქალაქში აკრავენ სიებს, რომელებიც ჩამოთვლილი აითვას-და დაჯუპულთა გვიარები, მაშინ როცა უკვე არაერთგზის გამოქვეყნა პრობა, რომ ტრაგეზი-ის დღეებში დაიღუპა 18 კაცი, მათი სია გამოქვეყნებულია. საუბრებულო, ამ სამწუბარო სიას 13 აპრილს დაემატა კიდევ ერთი კაცი – თელავის რაიონის სოფელ აკურის მცხოვრები 35 წლის შავავა იაკობის ძე ქავასროლიაშვილი. დაისათვის საავაზმყოფოშია 103 დაშავებული.




ნოდარ ჯანგირაშვილი



მზა ჯინჭუაძე



ელისო ჭიპაშვილი



თამარ ჭოველიძე

# ქართული

ერთი მონაციური 51-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლი, 16 წლის ნათები ბაშალეიშ-ვილი. იგი უკიდურესად მიმიტე მჯგომარეობაში მოიყვანეს სტაციონარში, რაღა არ გავაკეთეთ, ორჯერ გულის გაჩერებაც კი აღენიშნა. იმედის მზურული წერტილებს მაინც ჯიუტად ვეძებჯით, იქნებ... მაგრამ ამათ აღმოჩნდა მეჯიკოსების ყველანაირი მცხვლობა, გაფაგეორჩინა გოგონას სიცოცხლე, ზუსტ მიზეზს მის გარეაცვალებაზე ექსპერტისა და გენერალის.

„თბილისი“. 18. IV № 90

## თბილისის პროკურორატურა იუწყება

ქალაქში 9 აპრილს მოხდათ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებით, აღმოჩნდა სისტემის სამართლის საქმე, რომელსაც იმიტებს საქართველოს პროკურორატურა.

დღეისათვის აღმოჩნდა საქმის გამო დაპატიმრებული არიან ხურუნაიშვილი, კოსტავა, ჭავარია, სარიშვილი და გამსახურდია. ჭველვიზით და რაღიოთი გაცემულ, აგრეთვე რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულ ცნობაში, დაპატიმრებულთა შორის შეცვლით აღნიშნულია წერტლის გვარი. ამჟამად მას დაეძერ.

„კომინისტი“. 12. IV № 85

## იუწყება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

16 აპრილს დილის 10 საათის მონაცემებით, თბილისის საჯადმყოფოში იმყოფება ტრაგიკული ამბების შედეგად დაშავებული 121 კაცი. მათ შორის 51 ქალია და 10 არასრულწლოვანი. ექვსი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა ჯერჯერობით კვლავ სერიოზულია, დანარჩენებს არსებითი გაუმჯობესება დაეტყოთ.

როგორც ცნობილია, მიმდინარეობს უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ინტენსიური ძიება. 16 აპრილისათვის რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში 14 კაცის ნათესავებისა და ახლობლების შესაბამისი განცხადებაა. ეს ძირითადად ახალგაზრდობაა, რომელთა შორის არიან როგორც თბილისელები, ისე საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულნიც. კვლავ მოდიან ავალმყოფები, რომლებსაც ინტექსიკაციის ნიშნები აქვთ. ყოველი ახალი შემთხვევა ექსპერტ ექიმთა ყურადღების ობიექტი ხდება. წმინდა შესაბამისი ლაბორატორიული გამოკვლევები, მუშავდება წინათ მიღებული მონაცემებიც, რაც ხელს შეუწყობს 9 აპრილს დამით მომხდარი რეალური სურათის გამოვლენასა და გაანალიზებას.

\*\*\*

კითხვაზე – გამოიყენეს თუ არა ჯარის ნაწილები მომწამლავი საშუალებები, საქართველოს სსრ

ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ი. მენაღარიშვილმა „კომუნისტის“ კორესპონდენტს უთხრა:

- მოწამვლის სიმპტომები იმავე დღეს იყო ფიქსირებული. მოწამვლა დაადასტურეს ჩვენმა ტოქსიკოლოგებმაც და საკავშირო ჯანმრთელობის სამინისტროდან გამოძიებულმა სპეციალისტებმაც.

ამ აზრისა, აგრეთვე, მოწამლვათა საკავშირო ცენტრის ხელმძღვანელი ამხანაგი ლუჟკოვი, რომელიც ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა ავადმყოფებს, მათ ისტორიებს. მან აღნიშნა, რომ საქმე გვაქვს ორი ტიპის მოწამვლასთან. ერთი არის გამაღიზიანებელი, ცრემლდენი, ხოლო მეორეს, სამედიცინო ენაზე, ატროპინის ეფექტის გამომწვევი მოწამლვა ჰქვია.

- იქნებ გვითხრათ, მაინც რა ნივთიერება გამოიყენებს?

- კონკრეტული ნივთიერება იმან უნდა დაასახელოს, ვინც გამოიყენა... ჩვენ ავადმყოფებს ვმეურნალობთ სპეციალისტების მიერ რეკომენდირებული სქემით... და იმდეს არ ვკარგავთ... თუმცა, აი, ახლახან დამირეკეს, რომ ერთი ავადმყოფი ძალზე მძიმე მდგრადი განვითარებაშია...

„კომინისტი“. 17. IV № 90

## აჯაღმდებრების ნაუბარი

**აუთანდილ ჰულიძე:** - თითქოს რაღაცნაირი სქელი ბინდი ჩამოქეფარა თვალწინ, მოქმედების უხარი დავკარგე... ვცდილობდი სახე მომერიდებინა მოსხურებული ხსნარისათვის, მაგრამ ამის თავი აღარ მქონდა...

**მუხრან ჩინჩალაძე:** - პანიკა რომ შეიქმნა, ვიგრძენი, რაღაც ხსნარი გადამესხა სახეზე. მე ჯარში ნაყოფი გარ და ვიცი, თუ ცრუმლსადნი გაზია, ხელი არ უნდა ამოისვა თვალებში, თორუმ უარესია. ასეც მოვიქეცი, მერე სულისშემსუთველი სუნი დადგა... ახლა განსაკუთრებით დამღამბით, თვალები და ყელი მეწვის, თავის ტკიფილი მაწუხებს.

**ეთერ ჩაჩუა:** - არ მახსოვს, აქ როგორ მომიყვანეს, თანდათან გონის მოვეგა, მაგრამ ბევრ რამეს მაინც ვერ ვიხსენებ...

„კომუნისტი“. 18. IV № 91

**რეგაზ ნინუა:** - 172-ე სკოლის პედაგოგი: ხელკეტი რომ ჩამარტყეს, დანებების ნიშნად ხელები ავწიე, მაგრამ მათ ცემა არ შეუწყვეტიათ, ბოლოს ნიჩაბიც ჩამარტყეს და გონება დავკარგე...

**ნანა ლეგებაძე:** - გამომცემლობა „განათლების“ თანამშრომელი: მე მოშიმშილეთა შორის ვიყავი, როცა ხელკეტი ჩამარტყეს, წავიქეცი და გადამთელეს. ყოველი მხრიდან შემოგვიტიეს, ყველაფერი თვალის დახამსამებაში მოხდა. ხალხის წივილ-კივილის ხმა ქმლაც ყურებში მიდგას, იმ საშინელების გახსენებაც კი აღარ მინდა.

**ნანა ხუბაშვილი:** - ადგილმოწვეველის გაერთიანება “ალაზნის” თანამშრომელი: ჯარისკაცებს ნიჩბები კი არ ეჭირათ, თითქოს ხელთამანზე აქვთო მიმაგრებული. ნიჩბის ჩარტყმისაგან ძალიან არ დავზიანებულგარ, ალბათ სამხრებმაც მიშველეს ცოტა, რომ არ წაგიქცი, ხელებაწეულს რაღაც დექედორანტის მსგავსი ბოთლიდან სითხე მომასხურეს და გონება დაგრაგებ.

**ზურაბ მანაგაძე** (მას ნეკნები აქვს ჩამტვრული და ფილტვი გახვრეტილი): ნიჩბებით და ფქებით მცემდნენ, როცა დავცი, მათ ისევ გააგრძელეს ჩემი ცემა. მერე ხელებში წამავლეს და სადღაც მიმათრევდნენ, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ როგორდაც იმ არეულობიდან დავძერი. ძალიან ბევრი ხალხი წათრიეს ასე, სადწაიყვანეს არ ვიცი...

“კომუნისტი”. 13.IV № 44

## მოროვი ძალის შემოცვევა

### სანიტარის ნამბიობი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის მესამე კურსზე ვსწავლობდი. ამავე დროს სასწრაფო სამედიცინო დახმარების მესამე ქვესადგურში სანიტრად ვმუშაობდი.

1989 წლის 8 აპრილს 18 საათიდან 9 აპრილის 10 საათამდე ვმორიგეობდი. 9 აპრილს ღამის 2 საათზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრიდან მივიღეთ ბრძანება – გამოუცხადებულიყავი სამის ნახევარზე. მანქანაში ექიმი

ეკა მუმლაძე, სანიტარი ტოტო ლობჟანიძე და მე ჩავსხვდით და ცენტრისკენ გავეშურეთ. იქ ბრძანება მოგვცეს, 4 საათსა და 25 წუთზე ავსულიყავით მთავრობის სახლთან... ბრძოლის ველს პგავდა იქაურობა. მაშინვე ავიყვანეთ სახეგასისხლიანებული, ღრმა შოკში ჩავარდნილი ახალგაზრდა გოგო, მაგრამ იქ დახმარების აღმოჩენის საშუალება არ გვქონდა. დავინახე ვინმე გენერალ-პოლკოვნიკი, რომელიც ჯარისკაცებითა და ოფიცრებით გარშემორტყმული, ნელი ნაბიჯებით, მშვიდად მიდიოდა მთავრობის სახლის კიბეებისაკენ (?!).

ავიღეთ გეზი რესპუბლიკური საავადმყოფოსაკენ. 30 მეტრიც კი არ გვქონდა გავლილი, რომ მოულოდნელად გაგაჩერეს, მოგვთხოვეს მეორე საკაცე, რომლითაც მანქანაში შემოვასვენთ მიცვალებული, ახალგაზრდა ქალი. მას ჭრილობა არ ეტყობოდა, მხოლოდ კისრის არეში პქონდა ლურჯი ზოლები. ორივე მივიყვანეთ რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმღებში. სამწუხაროდ, მათი არც სახელი ვიცი არც გვარი. კვლავ დავბრუნდით უკან მთავრობის სახლისკენ. კოლმეურნეობის მოედნის ახლოს ავიყვნეთ ორი 14 წლის ბიჭი, რომელთაგან ერთს ხელი პქონდა მოტქილი, მეორეს კი ფეხი. ორივე ძლიერ შეშინებული იყო. მათ შეშლილის სახეები პქონდათ. რესპუბლიკური საავადმყოფოსკენ რუსთაველის გამზირის გავლით გავეშურეთ. რუსთაველის თეატრის ახლოს

შევნიშნეთ ერთი თექვსმეტიოდე წლის ბიჭი, რომელიც ავტობუსის მოსაცდელ სკამზე გამოთამული იჯდა. მანქანა გაგაჩერეთ, მივედით მასთან, იგი არეულად ლაპარაკობდა, გაზით მოწმლულს პგავდა. ჰაერშიც რაღაც სპეციფიური სუნი შეიგრძნობოდა. როგორც იყო აგადმყოფთან დაგამყარეთ კონტაქტი. მაგრამ მან საავადმყოფოში წასკლაზე უარი განაცხადა. ქუჩაში გამოსულმა ახლო-მახლოს მცხოვრებლებმა გვითხრეს – ამას ჩვენ ვუპატრონებოთ და ჩვენც გავაგრძელეთ გზა.

ლენინის ქუჩაზე, ტელევიზიასთან, ჩვენი მანქანა გააჩერეს ჯარისკაცებმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ორლესული მესანგრის ნიჩბებითა და ხელკეტებით, იქვე იდგნენ მათი უფროსებიც. ჯარისკაცებმა მანქანის უკანა კარი გააღეს, სანიტარი ტოტო ლობუანიდე მანქანიდან ჩამოათრიეს, ხელკეტებით გაუგონარი სისატიკით სცემეს. ჩვენ იგი უკვე მკვდრად ჩათვალეთ. ლაპარაკის უფლებაც არ მოგვცეს. ჯარისკაცები და ოფიცრები მოქმედებდნენ როგორც მხეცები ფაშისტებივით, გააფთრებული მკვლელების სახეები პქონდათ. სამი ჯარისკაცი დადგა კართან, მე და ერთ ფეხმოტქილ ბიჭს დაგვიწყეს ცემა, ხოლო მეორე ბაგშის ვერ მისწვდნენ, რადგან იგი ღრმად იჯდა მანქანაში. არ გვიშვებდნენ. ექიმი ეკა მუმლაძე ეველრებოდა მომხდურთ, თავი დაენებებინათ დაჭრილებისათვის, მაგრამ მათი გული ვერ მოალბო.



მარინა ჭყონია-სამარგულიანი



# ქართული

ყოველივე ამას თან ერთვოდა ჩვენი მისამართით უცხენურო სიტყვებით გინება და ღრიალი. მანქანაში სივიწროვის გამო კარგად ვერ იხმარეს ხელყეტები და ამით გადავრჩით სიკვდილს. თუმცა ერთი დარტყმა მივიღე მათგან სახეში. ახლა მანქანაში შემოგვიყარდა შინაგან საქმეთა ჯარების მაიორი, გამხეცებული ცდილობდა ფქმომტვრული ბიჭის გარეთ გამოთრუებას, ავადმყოფს ხელი ჩავჭიდე და გარეთ გაყვანის საშუალება არ მივეცი, ხოლო ექიმმა ეკა მუშლაძემ მაიორს სამხრეებში ჩასჭიდა ხელი და უკან დაქაჩა. მაიორმა ახლა ექიმს დაუწყო ცემა. ამ ღრის უკანა დია ფანჯარაში შემოიხედა უფროსმა მაიორმა, თითო დაუქნია და შევეშვნენ... მოვითხოვეთ ჩვენი სანიტარი, მაგრამ დაგვემუქრნენ, წაეთრიეთ აქედან, სანამ გვიანი არ არისო... რესპუბლიკურ საავადმყოფოში

მოვიყვანეთ დაჭრილი ბაგშეები და ისვე წამოვედით ტელევიზიისაკენ, ვერ მოვძებნეთ ჩვენი სანიტარი. დილის 9 საათზე დავბრუნდით მესამე ქედესადგურში, სანიტარი ტ. ლობჟანიძე იქ დაგვხვდა, ძლიერ იდგა ფქბზე. ვერ გამიგია, რატომ გვიპცეოდნენ ჯარისკაცები და ოფიცრები ასე სასტიკად? ჩვენ ხომ მედიცინის მუშაკები ვიყავით და დაჭრილებისა და მკვდრების გადაყვანა გვქონდა დაგალებული მთავრობისაგან. ორი წელიწადი ვიმყოფებოდი საბჭოთა ჯარში, მაგრამ ასეთი მსეცობა არსად მინახავს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საწამლავი ნივთიერება რაღად იხმარეს მშვიდობიანი მომიტინგების წინააღმდეგ. ეს ხომ გაუგონარია ისტორიაში...

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა! ჩვენთან არს ღმერთი! დღეს არის ჩვენი გლოვა და სულის ზემდებარება.

დღეს არის 9 აპრილის ტკივილი და ჩვენი სულიერი ამაღლება. მრავალგზის უნახავს განსაცდელი საქართველოს, მრავალგზის შემოსევია მტერი საქართველოს, მრავალჯერ უნდოდათ გაეტეხათ წელში საქართველო, მაგრამ ვერ შეძლეს. ჩვენი მფარველი იყო და მარად იქნება ყოვლადწმიდა დვთისმშობელი დედა, რომლის წილს გედრია დათვეურთხეული საქართველო.

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

## თასაც გეომანიაში ვაკეთებ, ხელი ხაქანითველობში გამოფენის ხერივილით ვაკეთებ

აქრილის ამ ლამეს შფუღგარებს ყველა მუზეუმი და გამიფენება გათენერამდე მუშაობით და სხვადასხვა აქცევს სიახლის დამთვალიერებულებს. ქალაქის სამსაცვრი ახალგამაში მიწყიდილი გამიფენება, რიმელზეც ამავე აკადემიას სცენიტების ნამუშევრები აუსა წარმოიდგენალი, საქართველოს მეცნიერება. ჩვენი ფუნქციას სცენიტები - რომან რემაშვილი - ამ გამიფენებს ერთ-ერთი მონასტელი გახლდათ. ახალგამაში ხელოვანი დღეს გამორიცხული გამიფენებს შესახებ გვესაუბრის, მაგრამ საქართველოს თუ გერმანიაში მაღერული გამიცილების გაგვიძლავს.

“ეს გამოფენა მიძღვნილია საქართველოსადმი, რადგან ინიციატივი იგეგმება ჩვენი პროფესორის პოლეტო ბუნებისა და ჯგუფის 10-12 ღლიანი ვიზიტი საქართველოში. ჩვენ რამოდენიმე დღე ვიქნებით “არტ-ვილა გარიყულაზე”. იქ პროფესორ ქუთაოელაძის ხელმძღვანელობით ტარდება ფესტივალი “სოფელი”, რომელში მონაწილეობის მიღებაც

გვაქვს დაგეგმილი. გარდა ამისა, თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებთან ერთად ჩატარდება ხატვის კურსები. შემდგე მოქანეობა ქართველი და გერმანელი სტუდენტების ერთობლივი გამოფენა თბილისში, რომელსაც წამოვიდებთ გერმანიაშიც და აქ, შტუტგარტში, გამოიფინება. დაგეგმილია ბევრი ექსკურსია საქართველოს მასშტაბით. ასეთია

ჩვენი ვიზიტის დაახლოებითი გეგმა. ჯგუფის მგზავრობისა და დანარჩენი ხარჯების ნაწილს ორგანიზაცია DAAD იღებს თავის თავზე. მათი თანხმობა სწორედ დღეს მივიღეთ. დღევანდელი გამოფენისას შემოსული თანხებიც საქართველოში ვიზიტს მოხმარდება.” გამოფენის სტუმრებს სტუ-

დენტების ნამუშევრების დათვალიერების საშუალება ერთობ საინტერესოდ მოწყობილ საგამოფენო დარბაზში მიეცათ. კედლებზე გამოფენილი ნახატები მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმ ნამუშევრებისა, რომელთა შექნაც ნებისმიერ დამთვალიერებელს შეეძლო. ნახატთა უმეტესობა დარბაზის იატაკზე იყო მოფენილი და მათ შესაძნად მხოლოდ ნამუშევრის შერჩევა როდი იყო საკმარისი. იმას, თუ რომელ ნახატს წაიღებდა ყიდვის მსურველი სახლში, მისი თვალისა თუ სროლის სიზუსტე და ცოტაოდენი იღბალი წყვეტდა. იატაკზე ჩამწკრიელებულ ნამუშევრთა ასარჩევად, საჭირო იყო მათვის მეორე სართულიდან პატარა სილის ტომრის დამიზნება და გარტყმა.

## ოთხი სტიქიონი

არანაკლები ორიგინალურობით გამოიჩინდა გამოფენის მეორე ოთახიც, რომელიც სრულად დათმობილი ჰქონდა რომან ირემაშვილისა და გიორგი კალანდარიშვილის ერთობლივ პროექტს. „ეს ჩვენი ერთობლივი პროექტია.“ – გვიამბობს რომანი. „დღეს აქ ამ პროექტის მხოლოდ ნაწილს წარმოვადგენთ. ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ გიორგიმ მომცა CD, რომელზეც ჩაწერილი იყო ბაზის პარტიტა. ეს ოთხნაწილიანი მელოდიაა, ყველა პარტიტას საერთო შტრიხი სდევს, მაგრამ თითოეული ნაწილი ერთმანეთისაგან ძალიან დამახასიათებლად განსხვავდება. საინტერესო ის იყო, რომ მე აქამდე არანაირი შეხება არ მქონია მუსიკასთან, არც მუსიკალური განათლება გამაჩნია და არც კარგი მსმენელი ვყოფილვარ არასძროს. მასსოვს, ჩემი მეგობრები დამცინოდნენ, ტაშსაც კი ვერ ვუწყობდი რითმში ფეხბურთის საყურებლად რომ წავიდოდით ხოლმე სტადიონზე.

“მოდი რაღაც ერთად გაგაკეთოთ – შემომთავაზა



მარცხნიდან მარჯვნივ:

გიორგი კალანდარიშვილი და რომან ირემაშვილი

გიორგიმ – “მე მუსიკას დავუკრავ და შენ იქნებ რაღაც ნამუშევრები შეგექმნას. მე უფრო წარმომედგინა, რომ აბსტრაქტული იქნებოდა მუსიკა და ემოცია ფერებით გადმოიცემოდა. დავიწყე ამ თემაზე ფიქრი, ვიძინებდი ამ მუსიკით. თვითონ იღეა ძალიან მომეწონა, თითქოს რაღაც ფერები წარმომიდგებოდა თვალწინ, მაგრამ დიდ ხანს კონკრეტული არაფერი მომდიოდა თავში. ერთ-ერთ ნაწილზე აშკარა წყლის ასოციაცია გამიჩნდა. მერე დავუკვირდი სხვებსაც და ერთი თითქოს ცეცხლი იყო, ერთი მიწა, ერთიც ჰაერი... და ამ ოთხი შემაღებელი სტიქიონის – ელემენტის – შთაბეჭდილება წარმოიქმნა ჩემში და ამ აქციას “ოთხი სტიქიონი” დაგარექვი. “სტიქიონის” დარწმევა შეგნებულად მოხდა, იმიტომ რომ სტიქიონი ძველქართულად არა მარტო ელემენტს, არამედ სტიქიასაც ნიშნავს, ორივეს ერთად აკავშირებს. სტიქიონი ამ თვითოეული ელემენტის მოზღვებული თუმოჭარბებული რაოდენობა ან მათი გამოხატულება-გამომჟღებებაა. ერთ-ერთის მოზღვება უკვე სტიქიას წარმოშობს. ეს სტიქიები განაპირობებს თითოეული ადამიანის ბუნებას, მის განწყობილებას. ყოველივე ეს ძალიან საინტერესოდ მეჩვენა და უკვე წარმოვიდგინე, რის გაკეთება შეიძლებოდა. ვერ ვიტყვი თითოეულ ნამუშევრზე ამ მუსიკას ვუსმენდი და მის ქვეშ ვხატავდი-თქო, უბრალოდ ამ მუსიკიდან წარმოქმნილ თუმაზე დავხატე ეს ნამუშევრები. ყოველ ნახატს თავისი სახელი აქვს: ჰაერი - “ჰატიმარი ცის ქვეშ”, მიწა - “მიწა ხარ და მიწადვე მიიქცე” (დაბ. 3, 19), წყალი - „ცხოვრების მონოტონურობა“ და ცეცხლი - „სიყვარულის ალმურში“.

## რეალობა

საქართველოში მე უნივერსიტეტში არსებული ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული ფერწერის განხრით. უნივერსიტეტი დავამთავრე 2001 წელს და მერე გარკვეული ხანი ინერტულად ვხატე. მალე რეალობის წინაშე აღმოვჩნდი – ჩემით უნდა გამომეტებულებინა თანხა და დავიწყე მუშაობა აბსოლუტურად სხვა განხრით. მერე ისე მოხდა, რომ იმ სამსახურში მინანქარი ვისწვლე და გერმანიაში წამოსვლამდე ბოლო ორი წელი მთლიანად მინანქრითა და იკონოგრაფიით ვიყავი დაკავებული. ამგვარად შემოსავალიც მქონდა და ხელოვნებაშიც ვიყავი დარჩენილი, ძალიან მიხაროდა, რომ საეკლესიო თემაზე ვმუშაობდი. მაგრამ ფერწერა, რაც ფაქტურად ჩემი პროფესია იყო, მიტოვებული მქონდა. ვცდილობდი ფერწერა გამომეუქნებინა მინანქარში და იკონოგრაფიაში და ამავე დროს კანონიკაში ჩამჯდარიყავი, რასაც ყველაზე დიდი სიამოვნებით ვაკეთებ დღემდე.


შემდგე DAAD-ს პროგრამაში მივიღე მონაწილეობა

# ქართული

და ჩემთვის სრულიად შემთხვევით, დაბადების დღის მეორე დღეს, საკმაოდ ნაბახუსევზე, დამირეკეს დილას და მითხრეს, რომ მივიღე სტიპენდია. ენის უცოდინრად წამოვედი, არც კი ვიცოდი სად მოვდიოდი, როგორ მოვდიოდი.

- შერჩევა კონკურსის სახით ხდებოდა?

კი, ნამუშევრები მიგეონდა, საბუთები, დახასიათება, შენს მოტივაციას წერდი და ამ ყველაფრის საუძველზე კონკურსი იმართებოდა, რომელსაც მე უფრო ლატარებს დავარჯევდი. ჩემთან ერთად კონკურსში ერთი ჩემი მეგობარი – არაჩვეულებრივი მხატვარი იღებდა მონაწილეობას. ვერ ვიტყვი, რომ მე მასზე მეტად მეკუთხნოდა გამარჯვება (ამას არ ვამბობ თავმდაბლობის გამო), ამიტომაც გამიკვირდა და ცოტა შემრცხვა კიდეც იმისი, რომ თანხმობა მე მომივიდა.



## ხელოვნება ნარკომანის წინააღმდეგ

ერთი წლის შემდეგ (2006 წელს), სტიპენდია რომ დასრულდა, დავბრუნდი საქართველოში. მაშინმევონა, რომ სამუდამოდ დაებრუნდი... გავაკეთე პერსონალური გამოფენა, რომელმაც საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. ჩემი ქართველი ხელმძღვანელებისგან მივიღე გარკვეული შექმაბა და ამავე დროს მითხრეს, რომ, მათი აზრით, დამატებითი ერთი-ორი წელი გერმანიში ბერებს მომიტანდა. საინტერესო იყო მათი ამგვარი შეფასება, რადგანაც მე თვითონაც იგივეს ვერძნობდი. დავბრუნდი გერმანიაში და დაპლომის შემდგომ ორწლიან სწავლებას გავდივარ, წელიწადნახევარი კიდევ დამრჩა. პასუხისმგებლობას ვერძნობ, მინდა „ხილი“, „ნაყოფი“ გამოიღოს ჩემმა აქ ყოფამ, რომელსაც მე თვითონაც დავინახავ. სულ საქართველოში გამოფენას ვგეგმავ, აქ დარჩენა არ მაქვს დაგეგმილი, ამიტომ რასაც აქ ვაკეთებ, საქართველოში გამოფენის სურვილით ვაკეთებ.

თვის შემდეგ (ჯგუფის ჩამოსვლამდე) მე უფრო ადრე ჩავდივარ საქართველოში და მსატვარ ნინო ბინიაშვილთან ერთად, რომელიც ისრაელში იმყოფება, საკმაოდ საინტერესო გამოფენას ვაკეთებ. ჩვენ „ნიკოლაძეში“ ვსწავლობდით, ქწლა ჩავდივართ და ერთად ვაკეთებთ თბილისში გამოფენას. მე ინვალიდი ბავშვები მყავს დახატული, ნინო გამოფენს ილუსტრაციებს თავისი მოთხოვისათვის, იგი პატარა ბავშვის შესახებ მოგვითხრობს, რომელსაც ტილები ჰყავდა და გადაპარსეს.

- რატომ ინვალიდი ბავშვები?

ასეთ ბავშვებთან ვიმუშავე გარკვეული პერიოდი. სტუდენტური სამსახურის ფარგლებში პირადი შეხება მეონდა მათთან და არ შემეძლო რომ არ გამეკეთებინა ნახატების სერია ინვალიდ ბავშვებზე. თბილისში, გამოფენაზე უკვე მქონდა წარმოდგენილი ორი ნამუშევარი ამ სერიიდან. მაშინ ჩემთვის საკმაოდ ავტორიტეტული ადამიანებისგან მოვისმინე

– ეს ყველაფერი კი კარგია, მაგრამ ცუდი ენერგია მოდისო. შევწყვიტე მათი ხატვა, არ მინდოდა რომ ჩემი ნახატით ცუდი ემოციით, ცუდი განწყობით, ცუდ ხასიათშე დამდგარისებო მნახველი. მერე ერთმა ურნალისტმა თბილისში საუბრის დროს თავისი აზრი გამიზიარა, თურმე ბავშვობაში დოკუმენტური ფილმი უნახავს იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს ნიკოლინი ადამიანის ორგანიზმზე. მას მერე არასოდეს არ მომიწვიაო – მიაბიო. მაშინ გადაწყვიტე გავცნობოდი ბავშვების სიმპტომებს, ავადმყოფობის გამომწვევ მიზეზებს და დავინახე, რომ იგი შშობლების ალკოჰოლიზმში ან მათ ნარკომანიაში მდგომარეობდა. ამის გამო მომივიდა იდეა ანტინარკომანიის პროექტის (“ხელოვნება ნარკომანის წინააღმდეგ”) გაკეთებისა რამილენიმე ხელოვანთან ერთად. ძალიან დამაფიქრა ურნალისტის ნათქვამა, რაღაც ხავსი ვიპოვე, რომელზედაც მოყიდება მჭირდებოდა და გერმანიაში დაბრუნების შემდეგ მაშინვე განვაგრძე ამ ნამუშევართა სერიის ხატვა.

## ძეგლი “ნიკოლაძელი”

ხატვა სულ მიყვარდა, სულ ვხატავდი და ხატვაზეც მიმიყვანეს. აქედან გამომდინარე ფეხბურთზე ვეღარ შემიყვანეს, ამიტომაც ვიდექი მთელი ცხოვრება კარში ფეხბურთის თამაშისას. არასპორტული ვიყავი და სულ დამცინობენ მაგის გამო.

შემდეგ “ნიკოლაძეში” ვსწავლობდი, ეს უკანასკნელი სამსატვრო სასწავლებელი იყო. მე ვთვლი, რომ „ნიკოლაძისნარი“ სასწავლებელი მეორე არ არსებობდა. მას სულ სხვა ტრადიცია ქონდა, რაღაც სხვანარი ოჯახი იყო. გავიგე, რომ ეს ოჯახი – ნიკოლაძის სახელობის სასწავლებელი დაუკეტავთ. დაკეტეს და მორჩა. მნელი სამართავი იყო ამდენი სასწავლებელი და დაკეტეს... გააერთიანე სპორტის,

დავდაცვის, ტურიზმის, რა ვიცი, ყველაფრის სამინისტროები... ადამიანს, რომელსაც რაგბი უყვარს, იმას „ნიკოლაძის“ რა ესმის? განა რაგბი არ უნდა გიყვარდეს, უბრალოდ შეუძლებელია ერთი ადამიანი, რაგბის ნაკრებით და კამერული ორკესტრით ერთნაირად იყოს დაინტერესებული. ხომ ასეა? გვინდოდა „ნიკოლაძის“ მხარდასაჭერი ერთი გამოფენა გაგვეკეთებინა, ალბათ გავაკეთებთ კიდეც – „ძველ ნიკოლაძელებს“ დავარჯევთ...


## ხელოვნების სურნელში

გერმანიაში სწავლება აბსოლუტურად განსხვავდება საქართველოსგან. აქ დავალებები სრულიად ამოღებულია პროგრამიდან და სტუდენტებს ჩვეულებრივად ხელოვანებს უწოდებენ და, მაგალითად, ნატურმორტებს არ ახატინებენ როგორც საქართველოში. მახსოვსავტოპორტრეტების და ხატვა იყო საჭირო პროექტისათვის და პროფესორმა კი არ დაგვაცალა, არამედ გვთხოვა - ვისაც შეიძლიათ იქნებ დახატოთ. საქართველოში ერთ პროფესორთან რომ ხარ, როგორც ამბობენ „შისი ხელწერა გდევს“. აი, „ნიკოლაძეში იყო ერთი ჯგუფი და მახსოვს, რომ მის მასწავლებლთან ყველა ერთნაირად ხატვადა, როგორ ვანსხვავებდით ერთმანეთისაგან ნახატებს ის მიკვირდა. ინდივიდუალურობას აკარგვინებდნენ სტუდენტებს. შეიძლება კარგი ნახატი ყოფილიყო, მაგრამ ინდივიდუალურობა აკლდა. არ მინახავს, რომ აქ ორი ადამიანი ერთნაირად ხატვადეს. იმას არ ვამბობ, რომ ორივე კარგად ხატავს. შეიძლება ორივე ცუდად ხატავდეს, მაგრამ ორივე განსხვავებულად ცუდად. გერმანიაში იმის საშუალება არის, რომ ინდივიდუალურობა შეინარჩუნო და განვითარდე შენს თავში.

გერმანიაში მუშაობის სულ სხვა პირობებია. შეუძლებელია სერიოზული მხატვრობა მოსთხოვო მხატვარს, როდესაც, მაგალითად, სამ საათზე იკეტება სტუდია. აქ სახელოსნოში შეიძლება ღამის თვეით იყო, შეხაპიც არის გვერდზე. ერთ სახელოსნოში ორი ვაკეთებთ იმხელა საქმეს, რასაც თბილისში შვიდი აკეთებენ.

ალბათ, მარტო პირობების ბრალიც არ არის. საქართველოში არ თვლიან სტუდენტს ხელოვნად. გერმანიაში თუ სტუდენტი ხარ უკვე ხელოვანი ხარ. ისე არ არის, რომ ის პროფესორია და შენ სტუდენტი. ერთმანეთს შენობით მიღმართავთ, პროფესორი გიყურებს, როგორც თავის კოლეგას. ის არ აკადემიური თავის თავს (როგორც ეს თბილისში ყოფილა), რომ სხვის ნახატს ხელი შეახოს, ეს დიდი შეურაცხოფაა.

მახსოვს, ერთმა მასწავლებელმა უთხრა ბავშვებს: „თქვენგან ერთიც რომ მხატვარი გამოვიდეს, უკვე კარგიაო. თქვენ ჯერ მხატველები უნდა გახდეთ და მერე მხატვრებიო.“ ე.ი. ადამიანში ბავშვობიდანვე



კლავენ შემოქმედების გასაქანს. ამას წინათ, ერთი აბსოლუტურად უცხო გოგონა გამომქმნაურა ინტერნეტით და თავისი ნახატები გამომიგზავნა. გული დამწყდა, ისევ ის ფერები, ისევ ის პეიზაჟი ისევ ის ერთიდაიგივეობა...

ძალიან მიხარია, რომ თბილისში აკადემიური განათლების შემდეგ, აქ თავისუფალ სკოლას გავდივარ. ერთმა პროფესორმა კარგად აღნიშნა: „Duft der Malerei machen“ - ხელოვნების სურნელში ხარ, ისეთ გარემოში, რომელიც თავისუფლებას გაძლევს, შეიძლება არაფერს არ გასწავლის, მაგრამ გეხმარება რომ გამოაჩინო ის, რაც შენშია.

## და კიდევ ერთი რამ...

ერთი რამ მინდა კიდევ ვთქვა... იცით რა დირს გერმანიაში გამოფენის მოწყობა? არაფერი! თუკი ნახატები გაქვს კარგი, გალერეა იღებს მათ, გიფენს, მოსაწევებს გიბეჭდავს, ხალხს გიპატიუებს, ყველაფერს თვითონ აგარებს და შეიძლება იღებდეს გაყიდული ნახატების 50%-ს. დაგეთანხმებით, რომ დიდი პროცენტია, მაგრამ გალერეაც ძალიან დიდ ფულს ხარჯავს ამ ყველაფრის ორგანიზებაში. საქართველოში ადრე გვინდოდა ქარგასლაში გამოფენის მოწყობა და პირობებით დაგინტერესდით. თუ პროექტი მოგვეწონა საერთოდ უფასო იქნება, სხვა შემთხვევისთვის დაბალი ფასი გვითხრეს. ახლა კიდევ დავრეცე და იცით რას მეუბნებიან? – კვალრატული მეტრი 4 დოლარი დღეში, ამას ემატება დღის გადასახადი, ანუ დღეში 1500 ლარი გამოდის. გარდა ამისა პროცენტებს იღებენ გაყიდული ნამუშევრებიდან. ისინი არაფერს არ აკეთებენ, რაც გალერეის მოვალეობაა და მხოლოდ ფულს ითხოვენ. ეგ არის ჩვენი ქართული პრობლემა. შარშან თბილისში გამოფენა მქონდა გალერეა

# ქართული

“ჰობიში”. დღის გადასახადი 50 დოლარს შეადგენდა. ქლა ისევ დაუურეკე, მოუყენელი ჩემი პროექტის შესახებ, იმაზე რომ ჩამოსკლას ვგებმავდით. მათ მიერ ამჯერად ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი ფასები საჯერ აღმატებოდა შარშანდელს. სხვასაც ვთხოვე თბილისიდან დარეკვა, მას ჩემთვის ნათქვამი ფასის ნახევარი უთხრეს, ე.ი. როცა გაიგეს რომ უცხოელები ჩამოდიოდნენ, ფასს აუწიეს. ამით მათ დიდი თანხა დაკარგეს, მე იქ სამი გამოფენის მოწყობას ვგებმავდი, რასაც აღარ გავაკეთებ. გარდა ამისა პოპულარობაც დაკარგეს და პრესტიულიც – იმით, რომ გალერეაში უცხოელი მხატვრები გამოფენენ, მისი პრესტიული იწევს. სიხარბემ მათ ეს ყველაფერი დაკარგვინა, ჩემი აზრით, ეს უბრალოდ არაპროფესიონალიზმია. მე კი, როგორც ქართველს, ჩემის მხრივ ძალიან შემრცხვა – შვილმა რომ ჩაიდინოს ცუდი რაღაც და მშობელს რომ შეგრცხვეს მისი საქციელის, ალბათ, ეს იყო.



მოგვიანებით გამოფენის სულისჩამდგმელთან, შტუტგარტის სამხატვრო აკადემიის პროფესორთან - პოლგერ ბუნკან გასაუბრების საშუალება მომეცა, ადამიანთან, რომლის დიდი სურვილიც საქართველოში მოგზაურობაა. იგი ჩვენს ქვეყანას მხოლოდ სურათებიდან და კოლეგათა მონათხრობებიდან იცნობს და აფასებს. ივნისის თვეში გეორგიანელი მხატვარი თავის ოცკაციან ჯგუფთან ერთად საქართველოში მიემგზავრება, ქვეყანაში, რომლის ძეგლი არქიტექტურა – მისივე თქმით – ყოველი ხელოვანისათვის ძალზედ საინტერესო და მნიშვნელოვნია.

“ქართულ არქიტექტურას გერმანულისაგან ძალიან განსხვავებული ტრადიცია აქვს, რომლის გაცნობაც ძალიან საინტერესო უნდა იყოს. აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ ვისარგებლოთ იმით, რომ ქართველი სტუდენტი გვეცა ჯგუფში, რომელმაც იცის ქართული ენა და იცნობს ქვეყანას. მინდა აქვე ავღნიშნო, რომ ეს მხოლოდ ჩემი გადაწყვეტილება არ ყოფილა. ჯგუფს ისლანდიაში, არგენტინაში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში წასვლის საშუალებაც ჰქონდა, მაგრამ ხმათა უმრავლესობით საქართველოში მოგზაურობა გადაწყდა.” – მისნის ბაჭონი პოლგერი.

- რომანი თქვენი პირველი ქართველი სტუდენტია?

- დიახ, პირველია.

- მაგრამ საქართველოს მანამდეც იცნობდით?

- როგორ გითხრათ, საქართველოში არასოდეს ვყოფილვარ, თუმცა ძალიან ბევრი სურათი მაქვს ნანახი. მყავს მეობრები, რომლებიც საბჭოთა

კავშირის პერიოდში ხელოვანთა სტიპედიით საქართველოში არიან ნამყოფნი. თქვენს ქვეყანას კარგი სახელი აქვს. მე ქართველ ხელოვანებსაც ვიცნობ, რომლებიც გერმანიაში ცხოვრობენ.

- ხშირად ხდება, რომ სწავლის ფარგლებში ჯგუფები სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობენ?

- დიახ, ჩვენ გვაქვს ხოლმე ექსკურსიები ქვეყნებში, რომლებიც ხელოვანთათვის პროფესიული თვალსაზრისით საინტერესო შეიძლება იყოს. სწავლება ჩვენს ხელოვანთა კლასებში ისე არის ოჯანიზებული, რომ ძველი და შედარებით ახალი სტუდენტები ერთად არიან. ჩვენი ჯგუფების განახლება დინამიურად მიმდინარეობს – ყველაზე უფრო სები ნელ-ნელა გვთვალისწინებენ და კლასი ახალი სტუდენტებით ივსება. ჩემი, როგორც კლასის ხელმძღვანელის, მოვალეობაა გუბრუნველყო ის, რომ ახალგაზრდებმა ერთმანეთი გაიცნონ, საერთო შთაბეჭდილებები შეიძინონ და ერთმანეთში ურთიერთობა ისწავლონ.

- კონკრეტულად რას მოელით ამ მოგზაურობისაგან?

- ჩვენი ქართველი სტუდენტის საშუალებით გვინდა კონტაქტი დაგამყაროთ თბილისის სამხატვრო აკადემიასთან. პირადად მე დიდი სურვილი მაქვს ჩემი იქაური კოლეგები გავიცნო. იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ ქართველი და შტუტგარტელი სტუდენტების საერთო გამოფენის მოწყობას. შემდგვ გვინდა კუდოთ ამ გამოფენის გერმანიაში წამოღება, ისე რომ ნახატების ჩვენება ორივე ქვეყანაში შევძლოთ. თბილისში უკვე დაუუკავშირდით ერთ გალერეას, რომელშიც ჩვენი იქ ყოფნის დროს სტუდენტთა ნამუშევრები გამოიფინება. ჩვენი სურვილია ისინი შემდგვ შტუტგარტის აკადემიაში გამოვიწოთ. ეს მხოლოდ ჩვენი იდეები და იმედებია, დრო გაიჩვენებს შესაძლებელი იქნება თუ არა მათი განხორციელება

- იმედი მაქვს კველაფერი მართლაც ისე იქნება, როგორც თქვენ გინდათ

- მადლობთ. ძალიან მოხარული ვარ საქართველოში რომ მივდივარ. უკვე ორი სქელტანიანი სამოგზაურო წიგნი შევიძინე. ჩვენი აკადემიიდან ჩემი ორი კოლეგა ნამყოფია საქართველოში, რომ გაიგეს ჩვენი სურვილის შესახებ ორივენი აღფრთოვანებით მირჩევდნენ იმ არაჩვეულებრივ ქვეყანაში წასვლას. ერთმა ისიც დასძინა, რომ დღესვე კიდევ წაიდოდა შესაძლებლობა რომ ჰქონდა. საქართველო ხელოვანისთვის ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ქვეყანაა. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს ეკლესია-მონასტრების მონახულება, რაც ძველი ქართველი კულტურის გადმონაშთა. ეს განუმეორებელი ძეგლებია, რაც მსგავსი ფორმით გერმანიაში არ გვაქვს.

ნინო ხაბელაშვილი

# ეს ჰიტი მარიე ლუკანავს

ასე მონათლა ჩვენი დღეგანდელი სტუმარი, ბატონი გია ქობულაშვილი მისმა მასწავლებელმა, პროფესორმა გოგი ბერიძემ და იგი ისე შეიტყუა მუსიკალურ სამყაროში, რომ მისთვის აღარაფერი აღარ უკითხავს. მას შემდეგ დაიწყო პატარა ბიჭის გაუთავებელი წვრთნა და გარჯიში, რომელმაც საბოლოოდ დიდი შედეგი გამოიღო. დღეს, ბატონი გია ცნობილი ჰობოისტი, თბილისის კონსერვატორიის საპატიო პროფესორი, შეიძლება ითქვას საქართველოში ჩასაბერი საკრავების თანამედროვე სკოლის ფუძემდებელია. ამავე დროს იგი ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრის სოლისტია. და, კიდევ, რაც აგრეთვე მალიან მნიშვნელოვანია, გია გერმანიის ქართული სათვისტომოს და მისი ეკლესიის მორჩილი რაინდია.

— ბატონი გია, ვფიქრობ, სჯობს თანმიმდევრულად მიღყეთ თქვენი პიროვნების გაცნობას და თხრობა ბიოგრაფიული მონაცემებით დავიწყოთ.

- ბიოგრაფია? ე.ი. სად დავიძად?

— ალბათ, ესეც საჭიროა.

- დავიძადე თბილისში, 1961 წელს. მამა, ნიკოლოზ ქობულაშვილი მუსიკოსი, კერძოდ, ჩასაბერი ინსტრუმენტის, საყვირის სპეციალისტია. წლების განმავლობაში იგი პედაგოგიურ მოღვაწეობას წერდა ოპერაში. დედას, ნანა სიჭინავას, მუსიკასთან შეხება არ ჰქონია. იგი თბილისის სისხლის გადასხმის ინსტიტუტში მუშაობდა. თავიდან ჩემთვის მუსიკოსობა არავის არ დაუძალებია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც მამას მეგობარი ბატონი გოგი ბერიძე გვეწვია სახლში და მომისმინა, გადაწყდა ჩემი მუსიკალურ სკოლაში შეყვანა.

— და, ეს ნიჭიერთა ათწლები იქნებოდა.

- არა, არცასეთინიჭიერია რეკორდის გვერდით და იქვე ახლოს არსებულ მუსიკალურ სკოლაში შევედი. თავდაპირველად უორტეპიანოზე და შემდგომ უკვე ჩასაბერ ინსტრუმენტზე გადავედა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბარე თბილისის განო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში საორკესტრო განყოფილებაზე. სპეციალობად ჰობოი ავირჩიე. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე სწავლა მოსკოვის გნესინების სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გაგარძელება. ეს იყო 1986-88 წლები.

— თქვენ თუ პედაგოგობას აპირებდით, როგორ მოხვდით საქართველოს სახელმწიფო კამერულ ორკესტრში?



- ჩემი მოსკოვში სწავლის პერიოდი დაემთხვა ე.წ. „პერესტროიკას“. ვნებათა ღელგან თვალშისცემი იყო. რუსეთში დემოკრატიას მოწყერებული ხალხის შფოთვა ძლიერდებოდა, საქართველოში თავისუფლების სიო დაპროცეს. ყველაფერ ამას რომანტიკული ელფერი დაპკრავდა. სწორედ ამ დროს ქალბატონი ლიანა ისაკაძის უშუალო თხოვნით მოსკოვში დამირევს და მითხრეს, რომ ორკესტრს ჰობოისტი ესაჭიროებოდა. დიდი ხანი არც მიუიქრია, მალე თბილისისკენ გამოუშურე. საქართველოს კამერულ ორკესტრთან თანამშრომლობა ჩემთვის დიდი პატივი იყო. ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობის პერიოდში ორკესტრში ოქროს ხანა იღვა. ხშირად დავდიოდით საზღვარგარეთ, თვით შლეზვიგ-ჰოლშტაინის ფესტივალზეც ვახლდი თრკესტრს. იქ გადაწყდა მათი გერმანიაში დარჩენა. მე კი, როგორც ჩასაბერი ინსტრუმენტის სპეციალისტი სიმფონიურ ორკესტრს აღარ დავჭირდი. სწორედ მაშინ დროებით გაიყარა ჩვენი გზები. მე თბილისში დავრჩი. ვისაც 90-იანი წლების საქართველოს გაჭირვება საკუთარი თვალით უნახავს არ გაუკვირდება თუ ვიტყვი, რომ მთელი ერთი წლის განმავლობაში ინსტრუმენტისათვის ხელი არ მიხლია. თავის გადარჩენისათვის ბიზნესსაც

# ქართული

მოვკიდე ხელი, მაგრამ ჩემDგან ბიზნესმენი რომ არ გამოვიდოდა, ეგეც კარგად ვიცოდი. ძალიან მენატრებოდა ჩემი პროფესია, დაკვრა. ერთხელ, ერთ-ერთმა ჯგუფმა გერმანიაში წამომიყვნა თარჯიმნად. ნამდვილად ღმერთის დიდი წყალობა იყო, როდესაც შემთხვევით ისევ შევხვდი ჩემს ძველ კოლეგებს. ქალბატონ ლიანასაც ძალიან გაუხარდა ჩემი ნახვა. მას სოფს მას ვთხოვა, მიუნხნის კონსერვატორიაში მინდა სწავლის გაგრძელება და ვიზის გამო ხომ ვერ დამტკმარებით-მეთქი. მან იფიქრა და ბოლოს ასეთი წინადაღებით მომმართა: ხომ არ ჯობია ისევ ჩვენთან დაგტოვოთ, სოლისტი თუ არა ისეთი წარმომადგენელი მაინც გვჭირდება, რომელიც თარჯიმნობას გაგვიწევს. ამრიგად, ორკესტრთან ჩემი მეორედ შეხვედრა გერმანული ენის ცოდნამ განაპირობა. მაშინ ქალბატონმა ლიანამ ორკესტრის ადმინისტრატორად გამაფორმა.

— გამოდის, რომ კვლავ თქვენი სპეციალობის გარეშე დარჩით.

— ნამდვილად არა. სწორედ აქედან იწყება მუსიკოსად ჩემი ხელახალი დაბადება. ამდენმა გაჭირვებამ უკუშედეგი გამოიღო, მენტალურად მინუსმა პლიუსი მოიტანა. მე ყველანაირად ვცდილობდი ფქი ამწევო ამ საზოგადოებისათვის, ალდო ამეღო ახალი ცხოვრებისათვის. ვცდილობდი კიდევ უფრო შემცვესო ის ცოდნა, რაც კონსერვატორიაში მივიღე. მივდიოდი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ვესწერებოდი თავისუფალ ლექციებს. შემდეგ გაუიცანი ადამიანები, რომლებმაც ამ ბრძოლის გზაზე დიდი დახმარება გამიწიეს. ესენი არიან ბაჟარიის რადიოტელევიზიის სიმფონიური ორკესტრის სოლისტები შტეფან შილი და ფრანსუა ლელუ. მათი ხელშეწყობით ჩვენ არაერთი პუმანიტარული პროექტი განხახორციელეთ. ინგოლშტადტიდი ხნის მანძილზე ვმოღვაწეობდი ზალცბურგის კამერულ ორკესტრში. სხვადასხვა ორკესტრებისგანაც ხშირად მქონია მოწვევები. და ინგოლშტატის ქართული კამერული ორკესტრის სოლისტიც მაღე გაეხდი. ასე, რომ დღესდღობით ადმინისტრატორა სხვას გადავულოცე.

— ბატონო გია, თქვენ პუმანიტარული პროექტები ახსენეთ მეც კარგად მას სოფს ეს დრო. მაშინ გერმანიაში ახალი ჩამოსული ვიყავი და ყურადღება

მიგაქციე თქვენს გამოსელას ადგილობრივი ტელევიზიით მას სოფს საზოგადოებაც როგორი ინტერუსითა და ენთუზიაზმით იყო ჩაბმული ამ აქციაში.

— როცა ტელევიზია ალაპარაკდა ამ აქციის გარშემო, იგი კარგა ხნის დაწყებული იყო. სამწუხაროდ „დონაუ-კურიერის“ ყველაზე დიდი აქციით დამთავრდა იმ დახმარებების სერია, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა და კვლავაც გაგრძელდებოდა, რომ არა საქართველოში გამომჟღავნებული უსირცხვილო ფაქტები. თავიდან თუ დახმარება დანიშნულების ადგილას მიღიოდა, შემდგომ იგი ბაზრობებზე აღმოჩნდა.

ყველაფერი კი იქედან დაიწყო, რომ ჩვენ მეგობარს, ცნობილ მუსიკოს ფრანსუა ლელუს არ ასევენებდა ფიქრი საქართველოს შესახებ. მას სურდა რაღაცით მაინც დახმარებოდა ჩვენს ქვეყანას. სწორედ მისი იდეა იყო პუმანიტარული აქციების მოწყობა. ეს წამოწება ყველა ჩვენმა მეგობარმა აიტაცა. მისი ორგანიზაცია კი, მეღადა ფრიდემან გოცგერმა, ორკესტრის მეგობართა საზოგადოების თაჯდომარებ ავილითარ თავზე. თავდაპირველად გაგროვებდით ტანსაცმელს, საჭმელს. ეს ყველაფერი მე არაერთხელ ჩამიტანა თბილისის უპატრონო ბავშვთა სახლში. შემდგე ჩაგატარეთ საქელმოქმედო კონცერტები, შემოსული თანხით ბავშვებს შენობა გავურებონტეთ. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ისეთი დრო იყო, როდესაც ინგოლშტადტის ქართულმა კამერულმა ორკესტრმა არაერთი ოჯახი გადაარჩინა საქართველოში.

— ქლა ისევ თქვენს პროფესიას დაფუძრუნდები და როგორც თბილისის კონსერვატორიის საპატიო პროფესორს გკითხავთ განვითარების რა ეტაპზეა დღეს საქართველოში ჩასახერი საკრავების კულტურა?

— ჩასახერი საკრავები ორკესტრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაღებელი ნაწილია. სამწუხაროდ, საქართველოში ამ დარგის განვითარება ჯერ კიდევ ადრე მოექცა გაკუუმში, რასაც ვერ ვიტყვით სიმებიან საკრავებზე, თუნდაც მისი კლასიკური სტილის შენარჩუნების თვალსაზრისით. ჩასახერმა საკრავებმა კი, ევროპაში პოპულარობა მოიპოვა. იგი ძალიან მაღე განვითარდა. შეიძლება ეს

ნაციონალური აგრძელებას აურნალისტთა მელის გაფართოვებას და ელის კვალა  
დაიმედინალის გამოხატვას საზოგადოებრივ სახელმძღვანელო უზრუნველყოფას

თანამდებობების კუთხით.

დაგვიკავშირდით:

qartuli@satvistomo.de

დამოკიდებული იყო კათოლიკურ და ეპანგელიურ ეკლესიებში ამ საკრავების გამოყენებით, თანამედროვე ლიტერატურის დაგროვებით და სხვა ფაქტორებითაც. დასანანია, რომ ეს ინფორმაციები ჩვენამდე არ აღწევდა. ამან თავისთვის და ის შედეგი გაძოიდო, რომ აქაური გადასახელიდან თვალშისაცემი გახდა ეს უფსერული. მე აქ ისევ ფრანსუა ლელუს სახელს გახსენებ და ვიტყვა, რომ მისი უშუალო იდეითა და დახმარებით ჩვენ შევძლით ამ დარგის საქართველოში განვითარება. 1999 წელს საქართველოში ჩატარდა ფრანსუა ლელუს სახელობის ჩასაბერი საკრავების კონკურსი, რომელმაც ხუთი წლის მანძილზე არაერთი გამარჯვებული გამოავლინა. კონკურსი ყოველ წელიწადს სხვადასხვა ჩასაბერ ინსტრუმენტზე იმართებოდა და გამარჯვებულიც შესაბამის საკრავს იმსახურებდა. ყველაზე მეტი საყვირის შეძენა მოგვიხდა, რაღაც ერთდროულად ხუთმა კონკურსანტმა გაიმარჯვა. ფლეიიტზე იყო სამი გამარჯვებული. მათგან ერთ-ერთს ქალბატონმა სანდრარულოვსმა თავისი საკუთარი ფლეიტა გადასცა საჩურქად. იმავდროულად ჩამოგვყავდა უშუალოდ იმ დარგის სპეციალისტები, პროფესორები, რომელ საკრავზეც კონკურსი იმართებოდა. ასე თანდათან წაიწია წინ ჩასაბერი საკრავების ქართულმა სკოლამ. დღეს, მე სულ მცირე, წელიწადში 4-ჯერ მაინც ჩავდივარ თბილისში. კონსერვატორიაში სტუდენტები მელოდებიან. მათვის ჩამაქვს ნოტები, ახალი მასალა. შემდეგ გასარჩევადაც ვუტოვებ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩასაბერი საკრავების განვითარების ტენდენცია ნამდვილად არსებობს საქართველოში.

— ამას წინათ ქართულ არხზე ერთ გასართობ გადაცემას ვუფურუ. მათ ხუმრობაში იდეალურად ჰქონდათ წარმოდგენილი დღვეუნდებული საქართველოს ყველა აქტუალური პრობლემა. მათგან ერთ-ერთი ჩვენც გვზებოდა, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს. შეიძლება ისე იუმორისტულად არ გამომიყიდეს მოყოლა, მაგრამ შევცდები აზრი მაინც გაღმოგცეთ ქართველი მიდის ამერიკის საელჩოში კონსულთან და პაპორტში ვიზის ჩარტერებას სთხოვს. კონსული ეკითხება, რამდენი ხნით მიემგზავრები? იგი პასუხობს, ერთი თვით, არა 3 თვით, არა, არა, 1 წლით, არა 5 წლით, 10 წლით, 30 წლით, 50 წლით. უკ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს — გაბრაზდა ბოლოს ქართველი. — მე მაინც ჩემს ქვეყანაში უნდა მოვკედე, აქ უნდა დაესაფლა უდეო. დამეთანხმებით, ეს ისეთი ხუმრობაა, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს მოსვენებას არ აძლევს. ამ მოსვენრობაში კი, მართლაც გადის წლები, რომელსაც თოვლით თეთრი ჭალარა მოაქვს.

- ნორმალური ადამიანისათვის ძალიან ძნელია საშმობლოს გარეშე ცხოვრება. იგი ამ დროს არანორმალურ მდგომარეობაში იმყოფება.

მითუმეტეს ქართველი, რომელიც თავისი ბუნებით უსახლვროდ თბილი და მგრძნობიარება, რომელსაც სულ სხვანაერად შეუძლია მოეფეროს, განსაკუთრებული პატივისცემით მიიღოს სტუმარი. ვფიქრობ, ქართველი თავისი ბუნებით ნამდვილი ქრისტიანია. უცხოეთში ცხოვრება ჩვენთვის ქრისტეს ჯვარია, ჩვენივე მხრებით საზიდო. თუ შენ ნამდვილი ქართველი ხარ, აქ კიდევ უფრო გაქართველდები. ხელისგულივით გადაგემლება შენი ქვეყნის ავკარგი. იმასაც დაინახავ რა იყო და რა გაეთდა, რა გზით უნდა იარო. ალბათ, მარტო ამისთვისაც ღირდა აქ წამოსვლა. აქაც არის პრობლემები, მაგრამ მთავარია ამ პრობლემას ებრძოლო და არა ქუჩაში გაგარდე. სამარცხინოა, როცა 1989 წლიდან დაწყებული დღემდე ქუჩაში გავარდნით უნდათ ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლა. ხანდახან მგონია, ისევ კომუნისტურ წყობაში ჰკონია ამ ხალხს თავი, სულ რაღაცას ელოდებიან. ამას წინათ პანაშვიდზე მიედი და ვიღაც-ვიღაცები ჩიოდნენ: ნეტა ამ მოყინული გზის გასაწმენდად მთავრობა არ გამოგვიგზავნის ვინმესო?!

— ბატონო გია, ცნობილია თქვენი ურთიერთობა გერმანიის ქართულ სათვისტომოსთან, ვიცი მისი გამგეობის წევრიც ბრძანდებით თრიოდე სიტევით ხომ არ მოგვიყენდებით ამ საქმიანობის შესახებაც?

- ჩემი აზრით, ეს უძველესი ქართული სათვისტომო გერმანიაში დღეს ახალი დატვირთვით წარმატებით აგრძელებს თავის ფუნქციას. დრომ ახალი პრობლემები მოიტანა. ის გოგო-ბიჭები, რომლებიც მოუშადებული წევზენ უცხო ქვეყანას სათვისტომოსგან დიდ სითბოსდა და ხმარებას იღებენ. ყურადღება ექცევა გერმანიაში სასწავლებლად ჩამოსულ სტუდენტებსაც.

მე ყველაზე მეტად ქართული ეკლესიის ფუნქციონირება მახარებს. ყოველ კვირას ისმენ ქართულ ღოცვას, სიტყვას, იღვრება ქართული სითბო. შემდეგ ეკლესიის ეზოში ქართველი ბავშვები დარბიან, თამაშობენ, ელოდებიან საკვირაო სკოლის ზარის ხმას. იმ დროს იქ პატარა საქართველოა დიდი მომავლით.

— ბატონო გია, თქვენ სამი ვაჟკაცის მამა ბრძანდებით ისენიც ხომ ჩვენი ქვეყნის მომავალია.

- ჩემი უფროსი ბიჭი ნიკა უკვე დავაჟკაცებული ყმაწვილია. იგი ქალაქ ლინცის მუსიკალური უნივერსიტეტის სტუდენტია.

მყავს ბავარიელი მეუღლე — ვაი ვაი ხენრიდერ. იგიც მუსიკოსია. სხვათაშორის, ვეი შესანიშნავად ლაპარაკობს ქართულად. შუათანა ბიჭი, გაბრიელი წელს სკოლაში შედის. პატარას ილია ჰქვია. მჯერა ბავშვები ქართულს კარგად ისწავლიან. ამაში ისევ საკვირაო სკოლის დახმარების იმედი მაქვს.

ესაუბრა  
ნინო ცხომელიძე-ლეპერშვილტი

# ბაბუს ნაკვალევე

## ფრთხეული ჩოტები

სამი შვილის მამას ე. წ. ჯავშანი ჰქონდა. მაინც წაყიდა სამამულო ომში. მოხალისედ... სამშობლოს სიყვარულმა გადააწყვეტინა. ომში ტყევედ ჩაგრძლა. ომის დამთავრების შემდეგ როგორც ბევრი მისი ტყეველნამყოფი თანამებრძოლი, ისიც დააყენეს არჩევანის წინაშე: ან უნდა დარჩენილიყო უცხო ქვეყანაში, ან გაციმბირება ელოდა. პირველი არჩია იმ იმედით, რომ საბჭოთა წყობა შეიცვლებოდა და სამშობლოში დაბრუნდებოდა. ჯერ სტალინის რეზიმმა შეუშალა ამაში ხელი, შემდეგ კი – ომის ჭრილობებმა გაუხსენა. მოღალატედ შერაცხულმა ცხოვრების დარჩენილი წლები უცხოეთში გაატარა. «იქ მინდა მოვკვდე, ვიმარხო, იქ არის ჩემი მამული». ეს იყო მისი ოცნება. სამწუხაროდ, უცხო მიწაში დაიმარხა.

ბაბუაჩემი, დიმიტრი ქიმერიძე, 1942 წელს ჩაება ომში. 34 წლისამ სახლში ცოლი და სამი შვილი დატოვა. იმედი ჰქონდა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ოჯახს დაუბრუნდებოდა. სად და რა ვითარებაში ჩაგრძლა ტყევედ, ჩვენთვის უცნობია. ომის დამთავრებიდან 2 წელი ავსტრიაში, გრაცში განაგრძო სწავლა საინჟინრო ფაკულტეტზე. უცნობია, როგორ მოხვდა საფრანგეთში ან რატომ მაინცდამინც სოშოში. პეშოს ქარხანაში დაიწყო მუშაობა. როგორც შემდგომში შევიტყვეთ, იქ თურმე 300-მდე ქართველი ცხოვრობდა და მუშაობდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მუდამ სამშობლოში დაბრუნდების იმედით ცოცხლობდა. მანამდე

კი ლექსებში აქსოვდა თავის განცდებს.

სამშობლოსთან განშორების ტკიფილს ლექსებში ახშობდა. ჩემი ერთადერთი განძი ჩემი კალამიაო, წერდა. წერილებს სულ ვღებულობდით საფრანგეთიდან. არ ეზარებოდა ნათესავებისთვის წერა, არც ლექსების მიძღვნა თითოეული მათგანისთვის.

არასოდეს დაუწეუწუნია, რომ ცხოვრებამ დაჩაგრა და ბედმა უცხოეთში გადაისროლა. დეტალებისგან კი თავს იკავებდა, მხოლოდ მწირ ცნობებს იძლეოდა. ვიცოდით, რომ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა, რომ ლექსებს გამოსცემდა და სტატიებს აქვეყნებდა იქაურ ქართულ უურნალ-გაზეთებში.

25 წელი იმუშავა პეერს ქარხანაში. რადგან პენსიონერობის ასაკში მეტი დრო ჰქონდა, განაგრძობდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. სულ გამოცემული აქვს 3 კრებული თავისი ლექსებისა.

ბაბუაჩენი ოჯახისადა, საერთოდ, მთელი ჩვენი ნათესაობის ტკიფილი იყო. ყველა განიცდიდა მისი უცხოეთშიყოფნისდა სამშობლოში არდაბრუნების ტრაგედიას. რადგან არც ერთ მათგანს არ შეუძლია მისი საფლავის და იმ ადგილების მონახულება, სადაც ის ემიგრაციაში ცხოვრობდა, ეს მისია მე ვიკისრე. მოგეხსენებათ, გერმანია და საფრანგეთი მეზობელი ქვეყნებია და გერმანიიდან გამგზავრება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ამიტომაც გადაგწყვიტეთ მე და ჩემმა მეუღლებ, თომას ბერშაიდმა, საფრანგეთის გზას დაგდგომდით

იმ იმედით, რომ წინაპრის საფლავსაც მივაგნებდით და მისი ცხოვრების დეტალებსაც შევიტყობდით.

ბაბუა 20 წლის წინ გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შესახებ შეგვატყობინა უახლოესმა მეგობარმა, გრიგოლ ქვარცხავამ. მისი წერილებიდან ვიცოდით, რომ დიმიტრი დაკრძალულია მონბელიარის ქართველთა მმათა სასაფლაოზე.

საფრანგეთში ჩასვლის მეორე დღესვე გაუდექით მონბელიარის გზას. დიდი დრო არ დაგვჭირვებია ქართველთა გვარების აღმოსაჩენად. 23 ქართველი ერთ დიდ საფლავშია მოთავსებული.

« ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს თ ვ ი ს თავდადებულთა ხსოუნას ». პირველად ეს სიტყვები მომხვდა თვალში. ერთი სულის მოთქმით

წავიკითხე იქ ამოტვიფრული გვარები. აი ისიც. დიმიტრი ქიმერიძე. სუნთქვა შემეგრა. საოცარი გრძნობა დამტუფლა. სიხარულისა და, ამავდროულად სევდის ცრემლები ვერ შევიკავე-

ანდა როგორ შეიკავებ, როცა იცი, რომ მოხვედი უახლოესი წინაპრის საფლავზე, რომელსაც საქართველოზე ოცნებაში აღმოხდა სული. წინასწარ მოშადებული სიტყვების თქმაც ვერ მოვახერხე. მხოლოდ ისლა წავილუდლუდე, რომ 20 წლის შემდეგ ეღირსა მის შთამომაგალს მის საფლავზე ფეხის დადგმა.

რამდენიმე წლის წინ მშობლიური ქალაქის, საშურის მიწა ვაკურთხებინედიმიტრის სახელზე. მთელ საერთო საფლავს მოვაბნიე ქართული მიწა, ქართული წმინდა


სანთლები დავანთე და თავი დავხარე წინაპართა  
საფლავების წინაშე.

საქართველოდან წერილები მქონდა წამოღებული,  
რომელიც ბაბუამ მოიწერა წლების მანძილზე. იმედი  
მქონდა, რომ რაღაც ინფორმაციას მოვიპოვებდი,  
რაც დამეტმარებოდა კვალის ძებნაში. დიდი ვერაფერი  
აღმოვაჩინე. დეტალებს არ წერდა. ეშინოდა, თავის  
ოჯახს ამით საფრთხე არ შექმნოდა. ერთ ბარათზე  
მისამართი იყო მოცემული: ღუე ღე ჩპამპ, # 19.  
ამიტომ გადაგვიტეთ, იმ მისამართზე მივსულიყვაით.  
აი ისც. დიდი სახლია. ნუთუ ესაა? შეუძლებელია!  
ამხელა სახლში მარტო როგორ იცხოვრებდა? მას  
ხომ იქ ოჯახი არ ჰყავდა. არადა, ეს მისამართი უნდა  
იყოს. გაორებულები დავბრუნდით უკან.

რამდენიმე დღედა იყო დარჩენილი ჩვენი შეგბულების  
დამთავრებამდე. ისე როგორ უნდა წავიდეთ აქედან,  
რომ ქართველთა სათვისტომოს კვალი ვერ ვიპოვოთ?  
ერთადერთი, რაც ვიცოდით, რომ სოშო-მონბელიარის  
ქართველთა სათვისტომო არსებობდა. დიმიტრი  
ქიმერიძე მისი მდგვანი ყოფილა. ამის შესახებ  
შევიტყვე, როცა გურამ შარაძის მიერ დაარსებულ  
ემიგრაციის მუხუმში ჩემდა მოულოდნელად კარლო  
ინასარიძის ინტერვიუ აღმოგჩინე, რომელიც მას  
დიმიტრისთვის ჩამოურთმევია. ეს ინტერვიუ რადიო  
«თავისუფლებაში» გადაცემულა. იქ ეწერა, რომ  
ბაბუას თავისი ხელით მოურთავს სათვისტომოს  
ოთახი, სადაც ეკიდა რუსთაველის, თამარ მეფის,  
ერეკლე მეორის, რა თქმა უნდა, ნოე ჟორდანიასა და  
ასევე სხვათა სურათები. აქ ასევე საუბარია ქართველთა  
ხშირ შეხვედრებზე, 26 მაისის დღესასწულებზე,  
სადაც თურმე სიტყვით გამოდიოდნენ. დიმიტრი კი  
თავის ლექსებს კითხულობდა.

სად გინდა იპოვო ქართველთა სათვისტომო?  
მიუხედავად იმისა, რომ სოშო ერთი ციცქა ქალაქია,  
მაინც გაჭირდა. ინტერნეტმა «გვიდალატა». ჩვენი  
ერთადერთი იმედი ტელეფონის წიგნი და ქართული  
გვარებით გვიდა. იმედისნაპერწკალი. ჩემთვისერთადერთი  
ნაცნობი გვარი: ქვარცხავა. სხვა ქართულ გვარებსაც  
მივაგნით. მოვსინჯეთ ქვარცხავას ტელეფონის  
ნომერზე. ქალის ხმამ მიპასუხა. ჩემი ფრანგული  
შემოიფარგლება მხოლოდ მწირი ლექსიკით. ამიტომ  
ყურმილი მეუღლეს გადავწოდე. ამ მადლიანმა  
ქალბატონმა გვაცნობა, რომ სათვისტომო დღესაც  
არსებობს და მოგვცა მისი თავმჯდომარის, ქრისტიან  
ჭირაქაძის ტელეფონის ნომერი. აქაც ვცადეთ ბედი.  
ისევ მოვსინჯე ქართულად საუბარი. ამაოდ. არც  
მან იცოდა ქართული. თომასმა შეძლებისდაგვარად  
გააგხბინა ჩვენი დარეკვის მიზეზი. ჩვენდა გასაოცრად,  
მან გვითხრა, რომ დიმიტრის არქივი მასთან  
ინახებოდა და მეორე დილითვე დაგვითქვა დრო.

იმ საღამოს მოელი ჩვენი ფიქრები არქივს



დასტრიალებდა. ნუთუ მართლა დიმიტრის არქივზეა  
ლაპარაკი? შეცდომას ხომ არა აქვს ადგილი? ნუთუ  
შესაძლებელია, რომ 20 წლის გარდაცალების  
შემდგე კიდევ ინახებოდეს მისი პირადი ნივთები?  
ნეტავ რა ინახება იქ? ერთი-ორი სურათი? ან ლექსი?  
ნეტავ ასლების გადაღება არ შეგვეძლება? მთელი  
დამე ვერ მოვისვენე.

მეორე დილით გავეშურეთ მითითებულ მისამართზე.  
მივაღებით ჰირაქაძების სახლს. დიასახლისმა  
შინ შეგვიპატიუა და შემოსასვლელში დახვავებულ  
ქაღალდებზემიგვითითა. ჩემიშემძირასურათზე შეჩერდა.  
ნაცნობი სახე. ეს ხომ ბაბუაჩემია? სიხარულისგან  
გული ამიჩქარდა. ნუთუ ეს ყველაფერი მისია? ლამის  
გული ამოგარდეს. აღარ ვიცი, ხელი რას შევავლო.  
ჯერ «სიბერისგან» გაყვითლებულ წერილებს შევხე.  
საქართველოდან მოსული წერილები! პირველი, რაც  
ხელში მომხვდა, დედაქემის ხელნაწერია. შემდგა  
კი მამიდას მიერ მიწერილი წერილი, რომელშიც  
პირველი შვილიშვილის, ანუ ჩემი დაბადების ამბავს  
ატყობინებს. ბაბუას მთელი წერილები შეუნახავს!

ახლა ლექსებს წავეტანე. ლმერთო, რამდენია!  
რვეულების დასტა. 40 წელია ამ რვეულებში  
ჩატანებული: მთელი მისი ფიქრები, განცდები  
და ოცნებები. თითქმის ყველას სათარი აქვს:  
ნაპერწკლები გულიდან, დათალხული ხეივანი,  
სამშობლოს, ცრემლების კონა, სიჭაბუკისოცებანიდა  
ა. შ. თითოეული მათგანი ლამაზადაა გაფორმებული.  
დ. გარეთელი ვინდა? ეს დიმიტრის ხელნაწერია.  
უთუოდ მისი ფსევდონიმიც ჰქონია!

დოკუმენტების გარდა ყველაფერი ქართულ ენაზეა.  
ამიტომ თომასი იმას ათვალიერებს, რისი კითხვას  
შეუძლია. ლტოლვილის საბუთი. ქვეყანაში ყოფნის  
ვადა რამდენჯერმეა გაგრძელებული. ესე იგი,  
საფრანგეთის მოქალაქეობა არ მიუღია. ქართველად  
დარჩენილა!

# ქართველი

ამ დროს ჩვენი მასპინძელიც მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ ენა არ იცის, იერი მაინც აქვს ქართული. თომასი ცდილობს, საუბარი წარმართოს. «ოხ, რად არ იცის ქართული?», გული დამწყდა ჩვენს მასპინძელზე. რამდენ რამეს ვკითხავდი. დიმიტრის ვიცნობდიო, გამჭარდა. სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს ვიტყვი, რადგან მაშინ ახალგაზრდა ვიყავიო. მაგრამ ის კი ვიცი, რომ ძალიან კარგი პიროვნება იყოო. გულს ამის გაგონებაც უხარია. იმდედი გადამწურა, რომ კიდევ მეტს გავიგებდი. და ბოლოს, საუბარი შეჩერდა ნომერ 19-ზე. ჩვენმა მასპინძელმა დაგვიდასტურა, რომ ბაბუა მართლაც იმ სახლში ცხოვრობდა სხვა ქართველებთან ერთად და სათვისტომოც იქ ჰქონიათ. მერე კი გაყიდულა და ქართველები მიმოფანტულან. ესე იგი, ეჭვგარეშეა, რომ დიმიტრი იმ სახლში ცხოვრობდა, რომლის წინაც ჩვენ რამდენიმე დღის წინ ვიდევით.

ბატონმა ქრისტიანმა მთლიანიარქივი გადმოგვილოცა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. აღმოგაჩინეთ იმაზე მეტი, რასაც ველოდით მაღლიერების გრძნობით ჩვენს მასპინძლებს დაევმშვიდობეთ. ჩაგოვალეთ, რომ საფრანგეთის მისია წარმატებით შევასრულეთ.

ერთი სული მქონდა, როდის დავიწყებდი ამ წერილებისა და ლექსების კითხვას. პირველ რიგში ინტერესის სფეროს წარმოადგენდა არა საქართველოდან, არამედ დასავლეთიდან მიწერილი წერილები იმ მიზეზით, რომ ბაბუას ცხოვრების დეტალები გამეგო და აგრეთვე ის, ვისთან ჰქონდა კონტაქტი. მათი საშუალებით გაფიგო, რომ მიმოწერა ჰქონია ემიგრაციის ისეთ კორიფეულთან, როგორებიც იყვნენ ვიქტორ ნოზაძე, კალისტრატე სალია, რევაზ გაბაშვილი, კარლო ინასარიძე, გრიგოლ ურატაძე, გივი კობახიძე. ერთ-ერთი წერილიდან ირკვევა,

რომ გრიგოლ რობაქიძეს წაუკითხავს მისი ლექსები, ძალიან მოსწონება და დიმიტრის გაცნობაც სდომებია. გაიცნეს თუ არა ერთმანეთი, ეს უკვე აღარ ჩანს.

სიხარულით და სევდით აღსავსე ცრემლებს ვერ ვიკავებდი. ვკითხულობდი და სიამაყით ვივსებოდი, რომ დიმიტრის როგორც პირადი, ისე შემოქმედებითი კონტაქტი ჰქონია ასეთ გამოწენილ ადამიანებთან. როგორც ჩანს, სათვისტომოს სახელითაც აწარმოებდა

მათთან მიმოწერას. ასევე თანამშრომლობდა ემიგრანტულ გაზეთებთან «კავკასიონი», «ბელი ქართლისა», «ივერია» და სხვა.

ელიზბარ მაყაშვილის წერილში, რომელიც 1968 წლით არის დათარიღებული, წერია: «ჩემო დიმიტრი, ძალიან კარგი და ნიჭიერი ლექსები გაქვს. ნაწერი თვისუფალი, ლამაზი და მარტივი ქართული ენით, გრძნობით, საქართველოს ისტორიის ცოდნით, შენარჩუნებული დიდი ილიას, აკაკის და სხვათა ენით ენას, რომელსაც ვერც ერთი თანამედროვე და ნაწერები, ვითომ ფუტურისტული ენა ვერ შეედრება. ნაწერი არის ლამაზი რითმით, ყველას თავისი ლამაზი რითმა აქვს: პირველი და მესამე ტაპი, მეორე და მეოთხე არ არის ნაწვალები. ეტყობა ყველა ნაწარმოებს, რომ ერთი კალმის მოსმით არის დაწერილი. ეს არის ნამდვილი მგოსნის მუზა».


ახლა საქართველოდან მოსულ წერილებსაც გადავხედე. ძირითადად ბებიას წერილებია. თითქმის ყველა მათგანში მეორდება ერთი და იგივე შეკითხვა: «როდის ჩამოხეალ?» და ვედრება: «ჩამოდი». ბებია ყოველთვის ელოდა მის დაბრუნებას. ისევე როგორც ოჯახის ყველა წევრი და ნათესავი. რა მტკიცნეული უნდა ყოფილიყო დიმიტრისთვის ამ წერილების კითხვა. მათი წაკითხვა ხომ უცრემლოდ შეუძლებელია. ვეფლობი რა ამ გრძნობათა მორევში, ვცდილობ, ბაბუას ვწებათაღელგა გავიგო. ვინ იცის, რა ცეცხლი ტრიალებდა მის გულში. იქნებ თავს ადანაშაულებდა კიდეც იმის გამო, რომ ცოლი და სამი შვილი დატოვა, წავიდა სამშობლოს დასაცავად, რომელმაც შეტევებ მოღალატედ შერაცხა და უკან აღარ მიიღო. ამიტომაც იყო აღბათ, რომ მუდმივად ეკითხებოდა საკუთარ თავს:



«რამ გადმომაგდო, რას ვეძებ  
ამ უცხო ქვეყნაშია?  
ვინ ამიკრძალა სიცოცხლე  
საკუთარ მთა და ბარშია».

ცოლ-შვილს და ნათესაობას მოწყვეტილი უცხო  
მიწაზე ცხოვრებას და უსამშობლობას ძალიან  
განიცდიდა. ამის არაჩეულებრივი დასტურია მისი  
ლექსები, განსაკუთრებით კი «ლტოლვილი»:

«უბედური ვარ, უიღბლო, ქვეყნად  
ლტოლვილი,  
ძალით ცოდვილი, დაწიხლული და  
ჩაქოლილი,  
არა მაქვს ძილი, არც დედა მყავს, აღარც  
ცოლ-შვილი,  
ცრემლებ დაღვრილი, ცხოვრებისგან ნაკიცხ-  
აღგვილი».



დიმიტრი ქიმერიძის პოეზიის დაუშრეტელი წყაროა  
სამშობლო. ის უძღერის მის წარსულ დიდებას,  
დაკარგულ აწყოს, იმედიან მომავალს, მის უდიდეს  
შვილებს: შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს,  
ტიციანს, მიხეილ ჯავახიშვილს და სხვებს.

დიმიტრის პირველი კრებულის «ნაპერწკლები  
გულიდან» წინასიტყვაობაში პეტრე სარჯველაძემ  
დაწერა შემდეგი: «თითქმის შემოქმედების ყველა  
ნაყოფში სამშობლოს ბედსა თუ უბედობაზე,  
მის ტრაგიკულ მოვლენათა მძაფრი ფეთქვაა,  
რაც მკითხველის გულს აღელვებს, ატოკებს და  
აფიქრებს... ჩვენი პოეტი არ ჩემულობს ნოვატორობას,  
არც იტაცებს პოეზია პოეზიისათვის, არამედ პოეზია  
სამშობლოს სამსახურში. მისი ლექსთა წყობის

განლაგება ენათესავება კლასიკურ პოეზიას. იგი სადაა  
და ხალხური მშობლიური წმინდა გრძნობისა და მისი  
სიყვარულის ასამაღლებლად და საღიღებლად».

დამბიმებული გულით დაგამთავრე წერილების  
კითხვა. 40-მდე რვეულში და თაბახის ფურცლებზე  
მოთავსებული ლექსების დამუშავებას კი დიდხანს  
მოვუნდები. მათი გამოცემა კი ჩვენი შემდგა  
მისია...

2008 წელს დიმიტრი ქიმერიძეს 100 წელი  
შეუსრულდებოდა...

ირმა ქიმერიძე

2007 წლის ოქტომბერი

## ჰელიკოცის ლიცეუმი

ეაქი, წავიდა ახალგაზისლობა,  
ცალი დაწინ მარჯვე საღლავში დემპლი.  
მართვულ, იმაზე მარჯვე მე დარღობა,  
ჩამ კულა ჭიშილო ჩემი მაძული.

ის ასის დედა, მე გან მის ძვილი.  
ძებულ მასოფა ჩემით აღსებული,  
მის ჰელი დაგეძებ, არა მარჯვე ძილი.  
მე მის მცენობა გან ჰიტოლით გართვლი.

მე მართან ერთად ჯვარიზე მანამე.  
ერთი ჰელით გართ თოიგი ჩიტლი.  
უსამართლობა, მცირება ლაეჭამე.  
თოიგი ერთად გართ ლალავული.

თავილინ ჭიყავ, ჰილომელი ჭიჩები.  
მისი ჰილ-ლინის მიძყოლ-ერთეული,  
მცირება ლომ ჭიყო, მანიკ ეავჩილები.  
მის სისლ-ხოლ-ძალებში მე გან შერთული.

მანუსებრ: ცურა, დათვი და მეგო.  
ყორანი, სური, კუსტო და მეტლი.  
იმის ალეგორია მე მანიკ ჭილი.  
და მის ეაზადსულ ჭილი და ჭილი.

მე ლე და ლამე თავს ლაგუციიალებ.  
ჩამ მოვარონ ყველა აღსული.  
სანამ მის მცენს არ ეავცილიალებ.  
მინაზე ჭიკლი არჩანას სმული.

1954 6.

# ქართველი

## იმედი და ჩემენა

მთავარია ცხოვრებაში  
იმედი და ინტენსია.  
შიძროლა თავისუფლებისთვის.  
არა ცრემლის ღწევა.

მეგობრობის განცხადებაში,  
ათასობის ცენტრი.  
კრითიკა და პიყვარები.  
არა შეკი, ჩემენა.

მომავალზე იცნებები:  
ჭირიში ცისობა, თქმენა.  
შიძრობა ტოილი სამისთვის.  
მძღიდობა და ლურენა.

ერამდე შენი აჭარული  
ური, დედა-წენა.  
მისი ძეგლი ეზის ძეგლი  
და მდარებელი ზენა.

ისე მეღერა, შეაქოჭრად.  
ცინებულა, აღმაღენენა.  
მთავარია ცხოვრებაში  
იმედი და ინტენსია.

სიმრ (სადაც ეფეთი)  
1978 ცლის 26 მაისი

## ჩონგური

ჩემი ლცოლვილი ჩონგური,  
აღლოები ცინებული ერთობითა.  
მისარე ეცლი ლოლი  
ახალ-ახალი ცნობითა.

ჭირიში და ლურიში შენის  
ჭანი.  
კრითიკი, ლირი ცლისთა.  
ჩეგის მცენა შეკი უკი  
მუდმივად ჩეგის ჩემი.  
ას ჩენი მცირე დმობითა.

კრითიკი ზნისა ჭანი ლირი.  
ცანჯური ცლიდან ცლისთა.  
ყცხოვის გადმოხურილი  
ძოძმეთა ლალაცნებითა.

შენ  
ჩემსახით.

ხას

ჩუკურით და წარმოქმნითა,  
გვერდი ცავებითა სამშობლო.  
ძალით და მომრებითა.

სიცელი ყალბი ყოდილი.  
ჩენებული არი ეცნობითა.  
თავისუფლებას გინოვით  
ჩენი რეზებული დმობითა.  
ივლის ჩემი ჩინებით.

სმაცხადილა, ცინებულა, ცისობითა.

მისარე ეცლი ჩენებით.  
ახალ-ახალი ცნობითა.  
ჩენიც მოგრაციაშით ლურენა.  
ალი ჭირიშით ცმობითა.  
დედი ჩეგიდ ჩაუკონებით  
კართული აძალობითა.

1959 6.

## გახსენება

სირიმის ქვის დატლა  
ჩაცარი წახლი არი.  
მიყვარია, ახლაც მიყვარი  
მისი გზი და კარი.

თვალწინ მიდევა მარად  
ის ჩემ ჰავაზობის დილა.  
უადაც იცნების კამეა  
ერავალებულ გამაცილა.  
ჭრანობ, ის აღ-ქარე  
საცომ დაცილო მარცო!  
ლუს ეცლი ცისხევა ჩემი  
ზის როვნო განვითარო.

მარინ იცნებას კრისი  
ფილები ყცხობი ცინების.  
ჭერია ციცულის გრა  
დამაცოვისა შპოლი.

დღე იმ მხალისენ მდავალ  
მიმავალ მეზარების გხელა.  
და სახუები მხლოდ  
დაშვილის სალამე გველა.

უკანასი უკანას,  
თხოვთა ას ლამიდისასო.  
მიგიდნენ, ჩემი ციტილი  
მოხუცი ლელა ნახონ.

ყოსინ, სიმ ჩემზე ციხით  
ცი გაყცელება ძილი.  
ცირას იდალები, რაღან

გილავ ცოცხალი პატი შეილი.

სულ მაღა ინახულები.  
ეცნობენ ჩენი ჩაუკონება.  
თვალი დაუკონების მეტილალ.  
კით მშობელი ეროვნება.

## ფილები უცხოეთი

მეონეული ერთნობა მორევით  
გულიცა მადმიდად ცაშია.  
ათასი დიქტი იმედია  
ჩემს ერთნობა-ეროვნებაშია.

მცი უცხოის შავი ნალექლი  
მოეროც მდინარე ზოგადია.  
სახუ ნაოდი იგებები.  
თუთი მერება თმაშია.

ჩამ გაღმომავლო, ჩამ გეძებ  
ამ უცხო წერისაშია?  
კინ აძირებალა სიცოცხლე  
საყითას მთა და ჰალიდა.

სამშობლის ეცლი მოვნევებია  
შავი ძაძების არა.  
თქუნ ეგითხებით ლე და  
შითხალით. სკმე ჩაშია?

ჩად ძეცნების წერისება.  
ჩათ არის ამ ყოფაშია?  
სიმართლეს თვას კუკითაუნ.  
მართალი სულ საკანდია.

თავისუფლებას აონიჩობენ.  
სინაზე ჩალ-ნარშია.  
თქით სილამაზე გააქმებ.  
ამ გრიფლის ბუნებაშია.

ამეგარი შავი დიქტისთა  
ციდან გულები მთაშია.  
არც ცოცხალი გარ, არც  
მცილაო.  
არცა მცირებია, არც მში.  
მოვცერენარობ, დაგლიჭარ.  
კამ-ბეჭდი, აჭა, დარშია.  
ეცლი ლაიზა ნალექლით.  
ციცების ლოლინ-ცლაშია.

1956 6.

## დებ

## 3 მარტს, დედის დღეს ბარეაზოგან დედა-დედოფალი

საოცარია ლიტერატურული პერსონაჟის ფილმის პერსონაჟად გადაქცევის პროცესი. ლიტერატურული პერსონაჟი, თუ იგი დიდი მწერლის კალმით არის შექმნილი, იმდენი სახით შეიძლება არსებობდეს, რამდენიც ეყოლება ჭეშმარიტი მკითხველი, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება მანამდე არც აცნობიერებდეს თავის წარმოდგენაში არსებულ პერსონაჟს, სანამ იგი სცენაზე ან ეკრანზე არ მოევლინება. მაშინ იგი ან დაემთხვევა მის წარმოდგენას, ან მისთვის მიუღებელი აღმოჩნდება ხოლმე. თავის მხრივ ეკრანული ან სცენური სახე რეჟისორისა და მსახიობის ერთობლივი შრომის ნაყოფია, ფაქტოურად ისინი გვევლინებიან კრებითი მკითხველის როლში და ამა თუ იმ პერსონაჟის თავიანთ ვარიანტს გვთვაზობენ. ამ მიზნის მისაღწევად მათ უწევთ მწერლისეული აქცენტების გადანაწილება ან თავმოყრა, რათა ეკრანულმა სახემ გამოკვეთილი კონტურები შეიძინოს — გახდეს დრამატული, ტრაგიკული, კომიკური და ა.შ. ცხადია, საქმე უფრო როულდება, როცა ლიტერატურული პერსონაჟი ერთ ყალიბში ვერ თავსდება, მაგალითად: არის ტრაგიკომიკური, როგორც გიორგი ლეონიძის ერთ-ერთი ნოუელის გმირის ფუფალას სახეა. ტრაგიკომიკურისა მეღაგნდება ფუფალას გარეგნობაში, ჩაცმულობაში, მეტყველებაში, პერსონაჟისადმი ავტორის და ხალხის (ანუ სოფლის) დამოკიდებულებაში და მისი განსახიერება მსახიობისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. საქმარისია ერთი გაუაზრებელი უესტი, ერთი მცდარი მიმიკა, მიხრა-მოხრასა და მეტყველებაში ზედმეტი შტრიხის ან ინტრიციის შეტანა, რომ ფუფალას სახე სოფლის სამასხარაო ერთ ჩვეულებროვ პერსონაჟად იქცეს, როგორც მრავლად გვინახავს ქართულ სცენაზე თუ ეკრანზე. სოფელი ერთობა, დასცინის

ფუფალასნაირებს, თუმცა დაგლეჯილი, მაღალქუსლიანი, ზოგჯერ ისინი თავს თვითონვე ჩაღილული გელიანი ფეხსაცმელი, იმასხარავებენ, აცყვებიან ხოლმე მომტვრეული, შუაზე გადაჩეხილი სოფელს მასხარაობაში (პრინცი ქუსლი ძალზე აწვალებდა. პში, ესეც ერთგვარი თავდაცვის მოქანცული, შეოფლიანებული ინსტინქტია), რადგან სოფელზე გმინავდა შეწუხებული ცალკე არიან დამოკიდებული და მისგან სიცხით, ცალკე უხერხული გადმოგდებულ ლუკმას სხვაგვარად ფეხსაცმლით, ცალკე თავისი მწარე გერ მოიპოვებენ. მაგრამ ბედით!“ არსებობს ასეთი ადამიანების სხვა ეკრანული ფუფალა მხოლოდ კატეგორიაც: მათ აქვთ ფარული ჩაცმულობითად „აღჭურვილობით“ სიამაყე, ღირსება და თავმოყვარეობა, პგავსლიტერატურულ პროტოტიპს. ისინი ხშირად ზნეობრივად მაღლა იგი არც მოქანცულია და არც დგანან იმ საზოგადოებაზე, ოფლშია გახვითქული, პირიქით, რომელიც მათ გონიერებული სოფიკო ჭიაურელის ფუფალა თვლის, სინამდვილეში ისინი გრაციოზულად მოირხება მტკრიან თავს არც უყადრებენ სოფელს და ბილიკზე, ღილინებს კიდეც, სოფელიც გულის სიღრმეში მათ სასაცილოა მისი ჩაცმულობა, პატივს სცემს. ასეთი ტიპაჟია დახული ქოლგა, ქუსლმოცცეული ფუფალა გენიალური ფილმის ფეხსაცმელი, მაგრამ ჩვენდა ავტორის თენგიზ აბულაძისათვის და გასაკვირად, იგი გამოჩენისათანავე იგი, ბუნებრივია, მსახიობისგანაც თანაგრძნობას იწვევს, ამის მაზები შესაბამის არატრაფარეტულ კი ისაა, რომ მსახიობი ასხივებს ხერხებს მოითხოვს. მოკლედ ერთ მთავარ თვისებას - სიამაყეს, რომ ვთქვათ, ეს არის თამაში იგი ამ სიამაყეს შინაგანად ტრაგიკულისა და კომიკურის ზღვარზე, საღაც კომიზმი ნელ-ნელა ამ პიროვნებისადმი, დიახ, ფუფალა უკან იხევს, ტრაგიზმი კი თანდათან მისთვის პიროვნებადა და მეონი, აქ გროვდება, იძაბება, მძმდება და კულმინაციას ფინალში აღწევს. ფინალამდე დიდი და ძნელი გზაა გასაკლელი და საინტერესოა, გასაკლელი და საინტერესოა, გზა და ამიტომაა, რომ ნორმალურ როგორ გადის ამ გზას სოფიკო გული ეცინება, პირიქით, გული ეკუმშება ჩავიწედოთ პირველწეაროში მაშინაც, როცა ფუფალა ბალახებში და ვნახოთ, როგორ აღწერს ზის, ფერუმარილს ითხიპნის ფუფალას პირველ გამოჩენას სახეზე, მერე კი კიტრიპარია გიორგი ლეონიძე: „გზაზე გამოჩნდა ბიჭისაგან მიწოდებულ კიტრს მარტოდ-მარტო ბერიქალა, ჭამს და მაშინაც, როცა თავისესავე შესაფერისად ეცვა სხვა და სხვა გამოგონილ საქმროებზე ხმამაღლა ხმიარული, ჭყეტელა ნაჭრებისაგან მეოცნებებითაღდახუჭულ ფუფალას შეკერილი კაბა. ცალი ხელით ხეზე გადმომდგარი ონავარი ბიჭუნა მოძველო ქოლგა ეჭირა, მეორეთი ჭალს ზედ სახეზე მიუშვებს: ესაა ჭრელი ბოხა. ძველმოძური შავი სოფლის უხეში ხუჭული, რომელიც თაომანი ეცვა ხელთ და ადამის ხნის ღიმილს მოგვგრიდა, ჩვენს წინაშე

# ქართული

სხვა ფუფალა რომ ყოფილიყო.

წყაროსთან თავშეყრილი ქალები უბოროტო დაცინვით ხვდებიან ფუფალას. როგორია ფუფალას რეაქცია? იგი აუჩქარებლად, გრაციოზულად ჯდება, თავის განუყრელ ბოხჩას გვერდით დაიღებს, ფაქიზად კეცავს დაგლეჯილ ქოლგას, კაბას ისწორებს და ხედავ, რა დახვეწილია მისი ყოველი მოძრაობა, რა ლირსულად იფერებს ქათინაურებს: „მართლაც ლამაზი ვიყავი, ალქალას, ოქროქალას, თვალსუუნას მექახდნებ“, - ამბობს ფუფალა, ვითომ წარსულს იხსენებს, მაგრამ ახლაც ლამაზი ჰგონია თავი.

განა ამას არ მოწმობს ის სცენა, ფუფალა ჯიბის

სარკეში რომ  
იცქირება და სახეს  
ფერ უმარილ ით  
იხატავს?! სოფიკო  
ჭიაურელი არსად არ  
გამოდის როლიდან  
- მის ყოველ ქესტს,  
მის წრა - მო წრას,  
ლაპარაკის მანერას  
განსაზღვრავს ის  
შინაგანი პოზიცია,  
რაც მას აქვს ამ  
პერსონაჟისად მი  
შემუშავებული.

წყაროს ეპიზოდში  
ფუფალას სახეს  
კიდვე ერთი უსიტყვო  
სცენა მატებს



**„ურასა“  
1937-2008**

შთამბეჭდაობას: იგი მარიტას უყურებს, არაფერს ამბობს, არც აღტაცების სიტყვები აღმოხდება, არც რაიმე ქესტით ამბაფრებს სიტუაციას, აქ მხოლოდ სოფიკოს მეტყველი თვალები „თამაშობს“ - მარიტასკენ მიმართულ შეერაში ერთდროულად გამოსჭივის სიკეთე, ნაღველი, აღტაცება, სინანულიც თავისი გახუნებული ქალობის გამო, მარიტასადმი სიბრალულიც და წინათვრმნობაც, რომ ეს ღვთიური სილამაზე დასაღუპადაა განწირული. იგივე ნაღველი უდგას ფუფალას თვალებში, როცა ეკლესიდან გამოსულ მარიტას უყურებს.

ფუფალა ექიმბაშობს კიდეც, მისი კომიკური რეცეპტი: „ყვავი მოხარშე, ისე რომ ორთქლი არ გამოუვიდეს, მისი წვენი დალი! მორიელის სისხლი გაახმე და მიიღე! მუხის ხის წყალი, მიმინოს ქონი აურიე ირმის ქონში, მტრედის გული გარდის წყალში ჩააგდე!“ თავშეკავებული, სერიოზული, გროტესკ მოკლებული გადმოცემის გამო კვლავ სიბრალულსა და თანაგრმნობას იწვევს, ხოლო მისი „პაციენტის“ ქმრის ბუზღუნის გამონე, ეს ქალი გააგდე, აქედან მოაშორეო, გაიხსენეთ, რა მორჩილად და ფაქიზად

დებს პირისკენ წალებულ ლუკმას, როგორ უჩუმრად დგება, რა გულნატკენია, რა შეურაცხყოფილი, როგორ მიდის... მისი ყოველი ნაბიჯიდან მარტოსულობისა და მიუსაფრობის გარდა ისევ და ისევ შინაგანი სიამავე გამოსჭივის და ყველაფერ ამას ტრაგიკული ფინალისაკენ მივყავართ.  
„ნატურის ხის“ ფინალი, სადაც ერთ ფოკუსში იყრის თავს ყოველი პერსონაჟის გვალილი გზა, სადაც საბოლოოდიკვეთბაფილმისძირითადი იდეა, არაერთი ბრწყინვალე ეპიზოდითა გაჯერებული და მითუმეტეს ფასეულია, რომ სოფიკო ჭიაურელის ფინალური სცენა მათ ფონზე გამოირჩევა. აქ ფუფალას ტრაგიზმი

კულ მინაციას აღწევს, ფილმის სცენარის ავტორებს, რეზო ინანიშვილსა და თენგიზ აბულაძეს, ფინალის მართულიათ და სიტყვიერი მასალის სწორი მოწაფით გაუმბაფრებიათ სულ სხვა გარემოში ჩართული სცენა. ნაწარმოებში იგი მშვიდ გარემოში, წყაროს სთან სალა და დონი და დონი

თავმოყრილი ქალების თვალწინ თამაშდება. ფუფალა იქ ვეღრება ერთერთ გლეხის ქალს სიკვდილის შემდეგ დაიტიროს იგი, ფინალში კი საოცრად დაძაბულ სიტუაციაში, სადაც არამიწიერი გუგუნი ისმის და სახეგაქევებული ადამიანები ვირზე უკუდმა შესმულ მარიტას მიაცილებენ, ტალახში გართხმული ფუფალა ერთ ასეთოვე გულქევა გლეხის ქალს ფქებზე ქვევა და ვეღრება: „ერთი უმფარველო გოგო ვარ, ხომ გამიკითხავ, როცა მოვკვდები... სიტყვა მომეცი, რომ ჩემზე თმას გაიშლი, ჩემზე შავს ჩაიცვამ, ჩემს კუბოზე დაახლი თავს!“ ტრაგიზმს აძლიერებს გლეხის ქალის პოზა, რომელიც ცდილობს თავი დააღწიოს მის მკლავებს, იმიტომ რომ თანაგრმნობის უნარი არ გააჩნია.

ფინალური სცენით იგვრება ფუფალას ეკრანული სახე, დასტურდება მთელი ფილმის მანძილზე წვეთ-წვეთად ნაგროვები ტრაგიკულობის შეგრძნება, რომელსაც სოფიკო ჭიაურელი დიდი მსახიობისათვის დამახასიათებელი ძალითა და ოსტატობით უსგამს საბოლოო წერტილს.

**დალი ფუნჯიკიძე**

# ცეკვისწერა ანთ გომისახლებრივი წილის დაქვემდებრები

ამ მოკლე ხანში, ჩემი დედაქალაქში არ ყოფნის გამო უკანასკნელ გზაზე ვერ გავაცილე ჩემი ახლობელი გამოჩენილი მწერლები: მორის ფოცხიშვილი, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, ნოდარ გურუშიძე და ლადო მრელაშვილი.

ვერც ურაოდენო ვარდებმიძღვნილ მგოსანს, ანა კალანდაძეს დავაყარე გულზე მინდვრის ყვავილები, ვისი ლექსებიც ქართულ პოეზიაში გაზაფხულის პირველყვავილთა ამოსვლის ტოლფასი გახლდათ, ვისმა სტრიქონსა და სტრიქონს შუა ჩაბუდებულმა მაღლმა და ძალამ მთელ საქართველოს გული აუჩქროლა და სიტყვის გემოს აზიარა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დედები შინოუსვლელ შვილებს გლოვობდნენ და იმერა-ამიერი ძაძებით იყო მოსილი. ლიტერატურული ცხოვრება აღარ დუღდა და გაღმოდუღდა, ჩამქედარი იყო, ღრმა ძილით ეძინა და სულის მოსაფონებელი ფუფუნებისთვის აღარაგის ეცალა.

უცაბედად, თითქოს ცამ გადმოიქანაო და დიდხმოვან ზარებს ხელი ჩამოკრუსო, თბილისში ხელიდან ხელში დაიწყო გადასკვლა მომხიბლავი საიდუმლოებით მოცულმა და ზეშთაგონებულმა, რომელსაც ქვეშ ქონდა მიწრილი ყველასთვის სრულიად უცნობი გვარი და სახელი ანა კალანდაძე.

მწერალთა კავშირი აწყალ-დიდებულ მდინარეს დამსგავსა. ვნებადამცხრალი, ნიათგამოცლილი თუ დიდსა-



ხელოვანი შემოქმედნი სალონში კაცოგამოუკლებლივ შეიყარნენ და მოგულისყურნენ ჯერ წიგნად გამოუცემელი ლექსების ავტორს. “ეკლესიასტე” ბრძანებდა, ცანი და ცათანი წახდნენ, მაგრამ სიტყვანი ჩემი არ წახდნენო.

იგივე ითქმის მის პოეზიაზე, ვისი სტრიქონების მოხეთქილ ჩქერებს ჯებირი ვერ შემოვლება და რაგინდ ბლანტი სისხლი გედგას ძარღვებში აღმაფრენის ქამს რომ დაგიყენებს. მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და ფითოლჩამწვარი ლამფის შუქზე ვწერდი ლექსებს გამოუცდელი ხელით, როცა ანა კალანდაძე გალეგნდარებულ პოეტად ითქმებოდა და მისი ლექსები ბორჯებამჯდარი და განფესვებული იყო ქართველი მკითხველის ცნობიერებაში.

როდესაც ხელთნაწერი წავიკითხე, მისი ჯადოსნური სიმღერით სუნთქვაშთაბერილი, სხვებთან მიუმსგავსებელი და დამამაგნიტებელი ლექსები გოლეული თაფლივით შევიწოვე სიტქბოდ და გავითვისე. ანა კალანდაძე რაც იყო ბოლომდე

იმად დარჩა. ის ფქაკრეფით დადიოლა თბილისში, თითქოს ეშინოდა მიწას მისი დაბჯენილი ნაბიჯებით არაუერი ვნებოდა და სტკენოდა.

არც ტრიბუნაზე ასული მინახავს, არც ვინმესთან მოკამათუ.

- შენი დამეტებული სისწორით მტრები და მეშურნეები არ წიმოიშალოთ! უთქვამს ჩემთვის. ავისმთქმელობა და ფეხმრუდობა შორს იყო მისგან. ენით არავინ გაუჭორია

და დაუკოდია, არც ქვიშაქექია ჩიტივით უქექია სხვათა ცხოვრებაში.

ვიდრე ქართველობა თავისად გულვებულ მამაპაპეულ ადგილ-მამულში იქართველებს, მისი ლექსები, პურის ჯეჯილზე გადავლილი მზისა და ნიავის ლივლივს რომ ჩამოგაეს,

აქ ჩენში მზეკაბანს რომ ემახიან და ზვავის ღონე აქვს დაყოლილი, მუდამ დიდებამიერნი იქნებან და კაცის სულის დასარწყულებლად და სუნთქვის მოსათქმელად იდლეგრძელებენ.

დაახ, გაპირველდედოფლებული ანა კალანდაძის ლექსები ფეხმოძიგებული დარჩებან მკითხველთა გულებში და გაზაფხულის მაცნე მგალობელი ფრინველებივით მუდამ იმახარობლებენ ყველა ჩენთაგანთა!

**მედეა კახიძე  
2008 წელი  
ბრაილშთაინი**

# ქართული

(ფა წარმატების უფალი ჩვენი...)

და წარადგინეს უფალი ჩვენი,  
ვით ავაზავი, ხალხის წინაშე...  
ბრძო გუგუნებდა...  
სისხლის მონატრულ  
ლერწამიც იყო პალესტინაში...  
-გაუშვით მკვლელი, ო, განუტევეთ,  
დე, მისი სისხლი... ზღოს უფლის სისხლმა!  
და... სასოება... დაფარა შურმა  
და...  
სიყვარული...  
წალეკა ზიზღმა!

და აღიმართა წამების ჯვარი  
შეუცოდებელ სულის წინაშე...  
დაოკდა რისხა...  
პალესტინაში...  
ჭიანჭველსაც...  
სწყუროდა სისხლი!

1946

(თქვი, ალექსანდრე...)

თქვი, არჯაკელო ხვიარა,  
ქსანზე ვინ ჩამოიარა?  
- რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი  
და არა გამიგია რა...  
- მეც... სხვათა შორის ვიკითხე,  
სალაპარაკოდ ვი არა.

1954

(შენ ისე დოკა ხალი...)

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,  
შენ ისე ღრა ხარ...

1945

**გელო, გელსა შინა...**

რისად არ მომხედავ? თვალგანაწამები  
მინდვრად გელოდება ლელი მკრთომარეო,  
გულო, გულსა შინა ცრემლთა მაწვიმებო,  
სულო, სულსა შინა სევდის მთოვარეო...  
არწივნი ყივიან, ხმობენ არწივებსა  
და ჩურჩულებს ნამი ლელზე ანანთები...  
ირგვლივ მზის ნათელი დასდგომია მთებსა,  
ცაში გაფრენილან ნისლიანი მთები...  
მზეი შენით მზეობს,  
მზედ ენთები, ზეობ,  
გვირგვინს ირქმევ მზისებრ...  
ჩემი გულის ძახილს,  
ო, ღაღადისს ჩემსას,  
შენ... არსაით ისმენ?  
მოეახლოს ლელსა გვირგვინდიდებული,  
სხივთა მთოვარეო...  
არ შეკრთება მაშინ, არ დაჭვნება იგი,  
მიუწვდომარეო!

1945

მალობას კუსტით ა/ა „ელის საინჟინერო კონსალტინგი“ დახმარებისათვის

გერმანიის ქართული სათვისტომოს ორგანო  
გამოიცემა 2005 წლის ოქტომბრიდან

**Das Organ des Georgischen Vereins in Deutschland e.V.  
Herausgegeben seit Oktober 2005**

ლამაზებები-ბამოსამები:

ბათუმის ქართული სათვისტომო

**სახელაქანო კოლეგია:**

ნინო ხაბელაშვილი (მთ. რედაქტორი)

ნინო დალაქიშვილი

ნინო ცხომელიძე-დეპერშმიდტი

თინათინ ჩითინაშვილი (რედაქტორი)

მალობას კუსტით იაკობ და ნიკოლაზ ჭალიაშვილების ფინანს  
ყურა ნომრის ექიმანიაში პროლეტაპი ყვილის დახმარებისათვის

## ქართული მისამიწა

Georgischer Verein in  
Deutschland e.V.

Leri Datashvili

Roemerhofweg 51c

85748 Garching b. München

დაგვიკავშირდით:

ტელ.: 0711/12 28 97 26

ელ. ფოსტა: qartuli@satvistomo.de

ჩვენი პატიონისა

ამერიკის გამომავალი

ქართული გაზეთი „მამული“